სახ. სახ. რესპ.
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 217 (19359) ◆ პარასკევი, 20 სექტემბერი, 1985 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

მოწინავეთა მხარდამხარ

რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების ერთ-ერთი ფლაგმანია ზ. რუხაძის სახელობის № 86 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი.

ზოგადსაგანმანათლებლო პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა რეალიზაციისათვის სასწავლებელში ბევრი ღონისძიება ხორციელდება. აქ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებისათვის ასობით კვალიფიციური მუშა მომზადდა. მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდისა და კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადებაში წარმატებებისათვის სასწავლებელს მიენიჭა ლენინური კომკავშირის პრემია.

სასწავლებლის კოლექტივი, მისი დირექტორის, სოციალისტური შრომის გმირის ე. სოლომონიას ხელმძღვანელობით, დღენიადაგ ზრუნავს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის.

სურათებზე: ეს გოგონები, ახლა ასე ხალისითა და გულისყურით რომ შესდგომიან საქმეს, მომავალი ფეიქრები არიან; სასწავლებლის მესამეკურსელები ინგა ვარდიშვილი (ზემოთ) და თინა ნათობიძე მალე ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის ღირსეული წევრები გახდებიან.

დ. იაკობაშვილის ტექსტი და ფოტო.

სამშობლოს გრძნობა

სამშობლოს მაღალი გრძნობა... გვიღვიძებს რა მოგონებას მამაპაპეული სახლის, მხარის შესახებ, სადაც დაიბადე და გაიზარდე, იგი თითოეულ ჩვენგანში შერწყმულია ბალტიის ზღვიდან წყნარ ოკეანემდე, იმიერპოლარეთის ტუნდრიდან დათოვლილ პამირის მთებამდე გადაჭიმული მთელი ქვეყნის თვალუწვდენი სივრცეების მხურვალე სიყვარულთან. სოციალისტური წყობილებისადმი, კომუნიზმის იდეალებისადმი უსაზღვრო ერთგულებით შედუღაბებული ეს წმინდათაწმიდა გრძნობა საბჭოთა ადამიანებს ავსებს უშრეტი ინტერესით ყველაფრისადმი, რაც ჩვენს დროში ხდება, უფრო სრულად და ღრმად ვლინდება მათი ყოველდღიური საქმეებით, ჩანაფიქრით, გეგმებით, სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებასთან რომ არის დაკავშირებული.

ამ მიზნისათვის კომუნისტები შეუპოვრად განამტკიცებენ მასების პატრიოტული აღზრდის არსენალს, ილწვიან, რათა იგი კიდევ უფრო მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანების განხორციელებასთან. საბჭოთა პატრიოტიზმი მაღალი აღმშენებლობითი შემართების პატრიოტიზმია. მას საფუძვლად უდევს მშრომელის აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, კონკრეტული საქმეები სამშობლოს საკეთილდღეოდ. დღეს ეს არის ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა შესრულება, მომჭირნეობა და ეკონომია, თვისებრივი გარდაქმნების მიღწევა ეკონომიკაში. დროის მთავარი ლოზუნგებია შემოქმედებითი შრომა, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, ინიციატივა და პასუხისმგებლობა. რაც უფრო მეტ სულიერ გზნებას, მგზნებარებას, შე-...

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხი.

ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის აღმოფხვრის კურსს, რომელსაც პარტია დაადგა, მთლიანად იწონებენ და მხარს უჭერენ საბჭოთა ადამიანები. ამას დამაჯერებლად მოწმობს პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებში, შრომით კოლექტივებში, მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გამართული კრებები, სოფლის ყრილობები, აგრეთვე მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი წერილები, რომლებიც მოდის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში. ცენტრში და ადგილებზე წარმოებს დიდი მუშაობა ფართო წრის ორგანიზაციული, ეკონომიკური, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და აღმზრდელობითი ღონისძიებ-...

...საჭირო ცვლილებები და დამატებანი, რომელთა მიზანია იმ პირებზე ზემოქმედების ღონისძიებათა ეფექტიანობის ამაღლება, რომლებიც ლოთობას ურიგდებიან.

ანტიალკოჰოლური ბრძოლა ხელს უწყობს საქონელბრუნვის სტრუქტურის გაუმჯობესება ს. ღვინისა და არყის ნაწარმის გაყიდვის შემცირებასთან ერთად იყიდება გაცილებით მეტი საჭირო სასურსათო პროდუქტი და სახალხო მოხმარების სხვა საქონელი. რამდენადმე გაიზარდა უალკოჰოლო სასმელებისა და წვენების წარმოება. სამინისტროები და უწყებები, ადგილობრივი ორგანოები ახორციელებენ მასობრივი მოთხოვნის საქონლის წარმოების გადიდების, მომსახურების სფეროს გაფარ-...

...და გადამწყვეტი ღონისძიებანი, რომლებსაც უკვე მოსდევს დადებითი შედეგები, არ იძლევა თვითდამშვიდების საფუძველს. არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ პოზიტიურ პროცესებთან ერთად არსებითი ნაკლოვანებებიც გვაქვს. მაშინ, როცა საბჭოთა მოქალაქეების დიდი უმრავლესობა მხურვალედ იწონებს ამ ღონისძიებებს, მოსახლეობის ერთი ნაწილი, რომელიც სპირტიან სასმელებს ეტანება, მოელის რაღაც შეღავათებს, გამოთქვამს უკმაყოფილებას ლოთობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა გამო. სკკპ ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ამგვარ განწყობილებებს მხარს არ დაუჭერს მილიონობით საბჭოთა ადამიანი.

...ნია ამ მიმართულებით დასახული დადებითი ტენდენციების დამკვიდრება, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა. ყველგან საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ ადამიანები ხედავდნენ და ღრმად იგნებდნენ, რომ ამ საკითხებში არავითარი უკანდახევა და მეცადინეობის შესუსტება არ იქნება, რომ მიმდინარე მუშაობა ხორციელდება თითოეული საბჭოთა ადამიანისა და მთლიანად საზოგადოების ინტერესებისათვის. სიფხიზლის, როგორც ჩვენი ცხოვრების ნორმის დამკვიდრება, უმნიშვნელოვანესი საერთო-პარტიული, საერთო-სახელმწიფო ამოცანაა, და მას მტკიცედ და განუხრელად უნდა ვწყვეტდეთ.

პარტიული კომიტეტები, პირველადი პარტორგანიზაციები გადაჭრით უნდა აღმოფხვრიდნენ იმ კომუნისტებისადმი ლიბერალური მიდგომის ჯერ კიდევ არსებულ ფაქტებს, რომლებიც ურიგდებიან ლოთობას, უნდა გახდნენ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ შეტევითი ბრძოლის ორგანიზატორები. პარტიის წევრები სანიმუშონი უნდა იყვნენ ამ საქმეში. საჭიროდ არის მიჩნეული გაზარდონ მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებული პარტიული კომისიების პასუხისმგებლობა, კადრების შერჩევისა და დაწინაურების დროს მთლიანად გაითვალისწინონ მათი ზნეობრივი სახე, ნიადაგ იხელმძღვანელონ ამით მთელ საკადრო მუშაობაში, საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებსა და კონფერენციებზე ყოველმხრივ განიხილონ ცხოვრების ფხიზელი წესის დამკვიდრების საკითხები.

მთელ ორგანიზატორულ, აღმზრდელობით მუშაობაში უნდა ვითვალისწინებდეთ, რომ ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატება უშუალოდ არის დამოკიდებული შრომით კოლექტივებში საქმის, დისციპლინისა და წესრიგის მდგომარეობაზე. შემდგომშიც ნამდვილად უნდა ავამაღლოთ მათი როლი ლოთობის ნიადაგზე ყოველგვარი დარღვევისა და გადაცდომისადმი შეუწყნარებლობის ვითარების შექმნაში, გავზარდოთ ამ საქმეში პროფკავშირული ორგანიზაციების აქტიურობა და ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა პირადი პასუხისმგებლობა. დაუყოვნებლივ, მთლიანად უნდა აღმოვფხვრათ ყოველგვარი სმა წარმოებაში, სამუშაოზე მთვრალი მოსვლის ფაქტები.

(დასასრული მე-2 გვ.)

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვა

ფერმას — საკმარისი სრულფასოვანი ფურაჟი!

ზამთარში საკვებზე წუწუნი გვიანღა იქნება

სოფლად პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების გადამწყვეტი პერიოდი დადგა. ფერმის პროდუქციის მოცულობა ახლა იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ ზამთრისათვის რამდენი და როგორი საკვები მომარაგებული. ამდენად, წარმატება მთლიანად დამოკიდებულია საკვების დამზადების კონვეიერის გამართულ მუშაობაზე.

სათიბებში ძალების, რეზერვების მობილიზაციის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ახმეტის, ახალქალაქის, ყვარლისა და თიანეთის რაიონების მეცხოველეები, რომლებსაც უკვე რეალიზებული აქვთ უხეში საკვების მომარაგების გეგმები და შარშანდელ დონესაც უსწრებენ.

სექტემბრის მეორე დეკადაში თიბვის ტემპით ყველას ჯობნის ბოგდანოვკელმა, ახალქალაქელმა და ახალციხელმა საკვებმომპოვებლებმა. მათ ერთ კვირაში შესაბამისად დაამზადეს 4.995, 1.996, 1.116 ტონა თივა. სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, მთელ კვირის მანძილზე არც ერთი ტონა თივა არ მოუმარაგებიათ გეგეჭკორის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, ორჯონიკიძისა და სიღნაღის რაიონების მეურნეობებში. ეს ფაქტი მით უფრო შემაშფოთებელია, რომ ამ რაიონებში თივის დამზადების გეგმები ჯერ არ შესრულებულა. საერთოდ, თივის მარაგის შექმნის საქმეს მეტისმეტად აჭიანურებენ წალენჯიხის, თერჯოლის, ლანჩხუთის, მარნეულის, ვანის და ბოლნისის რაიონების მეურნეობები, სადაც გეგმები სანახევროდაც არ არის შესრულებული და შარშანდელ შესაბამის მაჩვენებელსაც ჩამორჩებიან.

მართალია, რესპუბლიკაში შარშანდელზე მეტია ჩადებული სილოსი, მაგრამ გეგმა მხოლოდ 41 პროცენტით არის რეალიზებული. ამ საკვების დამზადება ყოვნდება გეგეჭკორის, მახარაძის, სამტრედიის და მცხეთის რაიონებში. აქაურ მეურნეობებს გეგმა მხოლოდ 5-33 პროცენტით აქვთ შესრულებული, რაც შესაბამის საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელზე და შარშანდელ დონეზე გაცილებით ნაკლებია.

საკვები რესურსების შევსებისადმი ამგვარი დამოკიდებულებით პირუტყვის გამოზამთრებისათვის ჯეროვნად ვერ მოვემზადებით და ვერც საძოვრულ პერიოდში ფერმის პროდუქციის წარმოების მიღწეულ დონეს შევინარჩუნებთ.

ამ საქმეში დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მეურნეობათა ხელმძღვანელებს, სპეციალისტებსა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. მათ ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ ფერმები უზრუნველყოფილი იყვნენ საკმაო სრულფასოვანი საკვებით.

„კომუნისტის" კორ.

სატასის ცნობა

1985 წლის 18 სექტემბერს მოსკოვის დროით 18 საათსა და 15 წუთზე „სოიუზ ტ-14" კოსმოსური ხომალდი შეუერთდა „სალუტ-7" — „სოიუზ ტ-13" ორბიტულ კომპლექსს, რომელსაც ვლადიმერ ჯანიბეკოვი და ვიქტორ სავინიხი მართავენ.

შესაპირაპირებელი კვანძის ჰერმეტულობის შემოწმების შე-...

შეპირაპირება ორბიტაზე

...მდეგ 21 საათსა და 24 წუთზე ვლადიმერ ვასიუტინი, გიორგი გრეჩკო და ალექსანდრე ვოლკოვი გადავიდნენ სადგურში. დედამიწისირგვლივ ორბიტაზე „სალუტ-7" — „სოიუზ ტ-13" — „სოიუზ ტ-14" სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსში ხუთი საბჭოთა კოსმონავტი მუშაობს.

ერთობლივი ფრენის დროს, რომელიც რვა დღე-ღამეს გასტანს, გათვალისწინებულია მოეწყოს გეოფიზიკური, ასტროფიზიკური და სამედიცინო გამოკვლევანი, ტექნიკური და ბიოტექნოლოგიური ექსპერიმენტები.

დაგეგმილი პროგრამის შესაბამისად სადგურში შემდგომ სამუშაოებს შეასრულებენ ვლადიმერ ვასიუტინი, ვიქტორ სავინიხი და ალექსანდრე ვოლკოვი, ხოლო ვლადიმერ ჯანიბეკოვი და გიორგი გრეჩკო „სოიუზ ტ-13" ხომალდით დედამიწაზე დაბრუნდებიან.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით „სალუტ-7" სადგურის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს, კოსმონავტები ამხანაგები ჯანიბეკოვი, სავინიხი, ვასიუტინი, გრეჩკო და ვოლკოვი თავს კარგად გრძნობენ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ო. ე. ჩერქეზიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ოთარ ევტიხის ძე ჩერქეზია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და განთავისუფლდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 19 სექტემბერი.

ამხ. ოთარ ევტიხის ძე ჩერქეზია დაიბადა 1933 წელს, სკკპ წევრია 1955 წლიდან, აქვს უმაღლესი განათლება, სპეციალობით მშენებელ-ინჟინერია.

შრომითი საქმიანობა ამხ. ო. ე. ჩერქეზიამ დაიწყო 1957 წელს, საქართველოს პოლიტექნიკური ...

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ბ. დ. მახარაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ბეგლარ დიმიტრის ძე მახარაშვილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 19 სექტემბერი.

ამხ. ბეგლარ დიმიტრის ძე მახარაშვილი დაიბადა 1936 წელს, სკკპ წევრია 1963 წლიდან, აქვს უმაღლესი განათლება, სპეციალობით ინჟინერ-მექანიკოსია.

შრომითი საქმიანობა ამხ. ბ. დ. ...

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ო. ვ. მელქაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ოთარ ვალერიანის ძე მელქაძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და განთავისუფლდეს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 19 სექტემბერი.

ამხ. ოთარ ვალერიანის ძე მელქაძე დაიბადა 1938 წელს, სკკპ წევრია 1966 წლიდან, აქვს უმაღლესი განათლება — 1961 წელს დაამთავრა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექ-...

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

საქმე ისე უნდა წარვმართოთ, რომ ცხოვრების ფხიზელი წესისათვის იბრძოდეს თითოეული ოჯახი, სოფელი, დაბა და ქალაქი. ყოველივე ეს შესაძლებლობას მოგვცემს ძირეულად შევცვალოთ ვითარება მთლიანად ქვეყანაში.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს იმედი აქვს, რომ ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველად მეტი ენერგიითა და სიმტკიცით აღდგება კომკავშირი, ქვეყნის მთელი ახალგაზრდობა. კომკავშირული ორგანიზაციები დღენიადაგ უნდა ზრუნავდნენ, რათა მოზარდი თაობა იზრდებოდეს ლოთობისადმი, კომუნისტური მორალის ნორმების ოდნავი დარღვევებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, რათა ახალგაზრდის ჩამოყალიბების საქმეს კიდევ უფრო აქტიურად ემსახურებოდეს ახალგაზრდობის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისა და ჯანსაღი დასვენების ორგანიზაციის ყველა ფორმა.

აღინიშნა, რომ ბევრი ადგილობრივი სამინისტრო და უწყება, საბჭოთა და სამეურნეო ორგანო ნელა გარდაქმნის მრეწველობის კვების დარგების, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობას, ჯერ კიდევ არ იჩენენ სათანადო ინიციატივას დამატებითი სასაქონლო რესურსების, განსაკუთრებით ადგილობრივი მასალებისა და ნედლეულის რესურსების გამონახვაში. ყველგან არ ახორციელებენ საქონელბრუნვის სტრუქტურის სრულყოფის ღონისძიებებს, ბევრგან არადამაკმაყოფილებლად არის ორგანიზებული ისეთი საქონლის ვაჭრობა, რომელიც საკმარისად არის. მოსახლეობის მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებს გაწეული მომსახურების მოცულობა და ხარისხი.

მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ დააჩქარონ იმ პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება, რომელთა მიზანია გადიდდეს მოთხოვნის მქონე საქონლის წარმოება და იმ მომსახურების მოცულობა, რომელსაც მშრომელებს უწევენ სამრეწველო საწარმოებში, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად. დააჩქარონ მუშაობა, რათა ღვინისა და არყის ქარხნებისა და საამქროების ნაწილი ხელახლა აღიჭურვოს უალკოჰოლო სასმელებისა და სასურსათო პროდუქტების გამოსაშვებად. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ კომპლექსური საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემის შექმნას, გააფართოონ და სრულყონ მომსახურების სფერო, იღვაწონ მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ, „ცენტროსოიუზმა", სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც აქვთ სავაჭრო ქსელი, უნდა განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი, რათა მოაწესრიგონ ღვინისა და არყის ნაწარმის გაყიდვა, უთუოდ დაიცვან ამ ნაწარმის ვაჭრობის დადგენილი წესი, შექმნან ვითარება, რომელიც გამორიცხავს სპეკულაციას და სხვა ბოროტმოქმედებას. მნიშვნელოვნად გააფართოონ უალკოჰოლო სასმელების, ბურახის, წვენების, ნაყინის, ახალი ხილის, ბოსტნეულისა და ყურძნის წარმოებისა და სტაციონარულ და წვრილსაცალო სავაჭრო ქსელში გაყიდვა. უფრო აქტიურად განავითარონ საზოგადოებრივი კვების მცირე ვიწროსპეციალიზებული საწარმოების ქსელი, ამისათვის გამოიყენონ როგორც სპეციალური შენობები, ისე შენობათა პირველი სართულები, შექმნან კაფეები და სავაჭრო მომსახურების სხვა ობიექტები ღია მოედნებზე. განახორციელონ კულინარული, საკონდიტრო ნაწარმის, ნახევარფაბრიკატებისა და სხვა პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდების, მათი რეალიზაციის ზრდის ღონისძიებანი. გაითვალისწინონ ამ მიზნებისათვის საჭირო მოწყობილობების წარმოების გადიდება.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული 1986 წლიდან მოყოლებული დაიგეგმოს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში საცალო საქონელბრუნვა და მისგან გამოიყოს ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციის მოცულობა. ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე მათი მართვის ორგანოების მუშაკთა საქმიანობის შეფასება, აგრეთვე მატერიალური სტიმულირება მოხდეს ალკოჰოლური პროდუქციის გაყიდვის მოცულობის გაუთვალისწინებლად.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნდა გაძლიერდეს სსრ კავშირის პროკურატურის, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მუშაობა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სამართალდაცვითი ორგანოების ყველა მუშაკის მიერ თავიანთი მოვალეობების უზადო შესრულება ლოთობასთან დაკავშირებული სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში, ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის მკაცრი დაცვა; განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი იმ პირთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, ცხოვრობენ უშრომელი შემოსავლით. უნდა გავაუმჯობესოთ კოორდინაცია პროკურატურის, მილიციისა და სასამართლოს ორგანოების მუშაობაში, მათი ურთიერთმოქმედება ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიებთან, სახალხო რაზმეულებთან, ამხანაგურ სასამართლოებთან, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. უნდა მივაღწიოთ სამართალდამრღვევთა დასჯის აუცილებლობას.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ადგილობრივ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებთან ერთად უნდა გააქტიუროს მუშაობა ნარკოლოგიური დისპანსერების, განყოფილებების, კაბინეტების ქსელის შემდგომი განვითარებისათვის საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აამაღლოს მათი საქმიანობის ეფექტიანობა, სერიოზულად გააუმჯობესოს პროფილაქტიკური მუშაობა, ანტიალკოჰოლური პროპაგანდა.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ბევრი საბჭოთა ორგანო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ იჩენს სათანადო აქტიურობას მშრომელთა სრულფასოვანი დასვენების ორგანიზაციაში, კულტურის დაწესებულებათა და სპორტულ ნაგებობათა ნაწილი კვლავინდებურად არ მუშაობს სრული დატვირთვით, ხშირად მათ დანიშნულებისამებრ არ იყენებენ. ნელა ვრცელდება უალკოჰოლო წეს-ჩვეულებანი. ჯეროვნად არ აქტიურებენ საკონცერტო საქმიანობას, ფილმების გაქირავებას, ნელა ფართოვდება ტურიზმი და ექსკურსიები.

საკავშირო პროფსაბჭომ, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა შემოქმედებით კავშირებთან, ნებაყოფლობით საზოგადოებებთან ერთად უნდა იღვაწონ, რათა მშრომელების, უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობის, თავისუფალი დრო შეივსოს საქმიანობით, რომელიც აკმაყოფილებს მათს ინტერესებს. უნდა გარდაქმნან საკლუბო დაწესებულებებისა და სპორტული ნაგებობების მუშაობის რეჟიმი და ამასთან გაითვალისწინონ მათი უფრო სრული გამოყენება საღამოობით, დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში. უნდა მოაწყონ კულტურისა და დასვენების პარკები, ქალაქების სკვერებში და მოედნებზე, საცხოვრებელ მიკრორაიონებში, დასვენების ბაზებში ორკესტრების, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების, თეატრების გამოსვლები ანტიალკოჰოლური მიმართულების სპექტაკლებით, მოაწყონ მასობრივი დღესასწაულები და წარმოდგენები, სპორტული შეჯიბრებები, შექმნან კლუბები ინტერესების მიხედვით. მიზანდასახულად და უფრო შინაარსიანად ეწეოდნენ კულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას ახალგაზრდობის საერთო საცხოვრებლებში. საჭიროდ არის მიჩნეული შეიმუშაონ და განახორციელონ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში მშრომელთა ორგანიზაციის სპეციალური გეგმები. ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი დასვენების კოლექტიურ და ოჯახურ ფორმებს ამ საქმეში წამყვან როლს უნდა ასრულებდნენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები.

სსრ კავშირის სახტელერადიოს, ცენტრალური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს რეკომენდაცია მიეცათ განაგრძონ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემების ყოველმხრივი გაშუქება, გააქტიურონ ადგილობრივი პრესა. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ცხოვრების ფხიზელი წესის დამკვიდრებისათვის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრიობის მუშაობის საუკეთესო გამოცდილების პროპაგანდას. უკომპრომისოდ გააკრიტიკონ სპირტიანი სასმელების მოყვარულნი, აგრეთვე ის თანამდებობის პირნი, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობით ვალდებული არიან სათავეში ედგნენ ბრძოლას ყოფა-ცხოვრების გაჯანსაღებისათვის, მაგრამ ამას არ შვრებიან. აქტიურად მონაწილეობდნენ ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის დაცვისადმი ფართო საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გამიზნული საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობის სრულყოფის ღონისძიებანი და გამოთქვა რწმენა, რომ ამ ბრძოლაში კიდევ უფრო აქტიურად ჩაებმება ყველა შრომითი კოლექტივი, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, თითოეული საბჭოთა მოქალაქე.

კანონის ძალა — ლოთობის წინააღმდეგ

ყველგან შეიქმნას ლოთობისადმი შეურიგებლობის ვითარება, აღმოიფხვრას იგი — დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ასეთ პასუხსაგებ ამოცანას წყვეტენ დღეს შრომითი კოლექტივები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. იმის შესახებ, თუ როგორ ეწევიან მათთან ერთად უკომპრომისო ბრძოლას მილიციის ორგანოები, გვიამბობს საკდესის კორესპონდენტთან საუბარში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. პ. ტრუშინი.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მორიგ სხდომაზე კვლავ ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჩვენი ცხოვრების ნორმად სიფხიზლის დამკვიდრება უმნიშვნელოვანესი საერთოპარტიული და საერთო-სახელმწიფო ამოცანაა, რომელიც კვლავაც მტკიცედ და განუხრელად განხორციელდება. როგორ წყვეტენ ამ ამოცანას შინაგან საქმეთა ორგანოები მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ" და ძალაში შევიდა საკანონმდებლო აქტები?

— სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, როგორც ცნობილია, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქვეუწყებო ორგანოებს მოსთხოვა აღმოფხვრან სერიოზული ნაკლოვანებანი ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაში, გადაჭრით აღკვეთონ სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევა, ამოძირკვონ არყის გამოხდა და სპირტიანი სასმელებით სპეკულაცია, ყოველნაირად შეუწყონ ხელი შრომითი კოლექტივებს, საზოგადოებრიობასა და მოქალაქეთა ოჯახებს იმ პირთა გამოსწორებაში, რომლებიც ალკოჰოლს ეტანებიან, დაუცხრომლად იმუშაონ ლოთობის პროფილაქტიკისათვის.

ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, განსაკუთრებული ყურადღება მივაპყარით მოსახლეობისათვის პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების, ანტიალკოჰოლური კანონების განმარტებას. მტკიცედ და ინიციატივიანად წარმართეს მუშაობა ლოთობის წინააღმდეგ უკრაინის სს რესპუბლიკის, ჩუვაშეთისა და უდმურტეთის ასს რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროებმა, ალტაისა და სტავროპოლის მხარეების, ულიანოვსკის, გორკის, კემეროვოსა და მთელი რიგი სხვა ოლქების შინაგან საქმეთა სამმართველოებმა. ამ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში იკლო დანაშაულობამ ლოთობის ნიადაგზე, გაუმჯობესდა წესრიგი საზოგადოებრივ ადგილებში, დაისახა სხვა სასიკეთო ცვლილებებიც.

პასუხსაგები სოციალური ამოცანის გადაწყვეტისადმი სახელმწიფო მიდგომის კარგი მაგალითი გვიჩვენეს, მაგალითად, უდმურტეთის მალაია პურგას რაიონში სამართალდაცვითმა ორგანოებმა სკკპ რაიონული კომიტეტისა და რაიაღმასკომის ხელმძღვანელობით. პარტიის დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ განვლილი ორი კვირის მანძილზე მოეწყო შეხვედრები ყველა შრომით კოლექტივთან, დასახლებული პუნქტების მცხოვრებლებთან. ყველგან გაიმართა სასოფლო შეკრებები. ამასთან ერთად სახალხო დეპუტატები, მილიციის მუშაკები, სახალხო რაზმელები ეწვივნენ ოჯახებს, სადაც არასასურველი ატმოსფერო სუფევდა, ჩაატარეს განმარტებითი მუშაობა. შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი, რაიონის პროკურორი, სახალხო მოსამართლეები შეხვდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთავარ სპეციალისტებს, განყოფილებათა მმართველებს, ფერმების გამგეებსა და ბრიგადირებს. მათ განუმარტეს, თუ რა პასუხს აგებენ ისინი კანონით დაკისრებულ იმ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის, რომლებიც ლოთობის აღკვეთას და ამ საფუძველზე დისციპლინის განმტკიცებას ითვალისწინებენ, აგრეთვე ადმინისტრაციულ დარღვევათა ამსახველი დოკუმენტების გაფორმების წესისათვის. სამართალდაცვითი ორგანოების წინადადებით, რაიონში სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმი გაიხსნა. ყოველივე ამის შედეგად განმტკიცდა საზოგადოებრივი წესრიგი, შემცირდა შრომითი დისციპლინის დარღვევათა რიცხვი.

ორგანიზაციული, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებმა ხელი შეუწყო ქვეყანაში ლოთობის ნიადაგზე დამნაშავეობის შემცირებას.

— რა მთავარი მიმართულებებით და რამდენად ეფექტიანად უტევენ ლოთობას შინაგან საქმეთა ორგანოები?

— უწინარეს ყოვლისა მილიციის მუშაკები სახალხო რაზმელთა მრავალმილიონიან არმიასთან ერთად მტკიცე ღონისძიებებს მიმართავენ იმისათვის, რომ აღკვეთონ სპირტიანი სასმელების სმა, მთვრალ მდგომარეობაში საზოგადოებრივ ადგილებში და ქუჩაში გამოჩენა. შეურიგებელი და სულ უფრო აქტიური ბრძოლა წარმოებს ღვინით და არყით სპეკულაციასთან, არყის შინ გამოხდასთან. ახალი კანონების ამოქმედების მომენტიდან სპეკულაციისათვის პასუხისგებაში მისცეს ოთხჯერ მეტი ადამიანი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებლებმა ნებაყოფლობით ჩააბარეს ბევრი არყის სახდელი აპარატი.

აღვნიშნავ, რომ ჯერჯერობით ვაჭრობის ხელმძღვანელები ყველა დასახლებულ პუნქტში როდი ადევნებენ მკაცრად თვალს სპირტიანი სასმელების გაყიდვის წესების დაცვას. ივნისში მილიციის თანამშრომლებმა მარტო გროდნოს ოლქში ღვინისა და არყის ნაწარმით ვაჭრობის წესების დარღვევის 86 შემთხვევა გამოავლინეს.

ბევრ რესპუბლიკაში სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლები და ავტოსატრანსპორტო საწარმოთა ადმინისტრაცია დიდ პროფილაქტიკურ მუშაობას ეწევიან მძღოლთა შორის. ინერგება რეისებისწინა და რეისებისშემდგომი სამედიცინო შემოწმებები. განხორციელებულ ღონისძიებათა წყალობით შემცირდა ავარიები გზებზე. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში ნასვამ მძღოლთა მიზეზით დაზარალებულთა რიცხვი ივნის-ივლისში, წინა წლის იმავე თვეებთან შედარებით, 28,2 პროცენტით შემცირდა, ბელორუსიაში — თითქმის მეოთხედით.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სისხლის სამართლის ძიების, არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციების სამსახურები, • მილიციის უბნის ინსპექტორები მეტ ყურადღებას უთმობენ არასრულწლოვანთა შორის ლოთობის პროფილაქტიკას. ბოლო ხანს ფართოდ მიმართავენ ლოთებისა და ალკოჰოლიკების იძულებითს მკურნალობას. მაგრამ ამ მიზნებისათვის ჯერჯერობით არასაკმარისია სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმები, თანაც ისინი ცუდად არის აღჭურვილი. მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება, თუ საწარმოებსა და მეურნეობებში შეიქმნება მეტი ნარკოლოგიური დისპანსერი, კაბინეტი და საგუშაგო.

შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ ქუჩებსა და საზოგადოებრივ ადგილებში, არეულ ოჯახებში წესრიგის დასამყარებლად განხორციელებულ ღონისძიებათა ეფექტიანობა ბევრად არის დამოკიდებული ხალხის მხარდაჭერაზე, მათ სურვილზე, რომ ყველგან დაამკვიდრონ ცხოვრების ჯანმრთელი წესი. და ჩვენც ვგრძნობთ ამ მხარდაჭერას. მაგალითად, მოსავლის აღების დროს ორენბურგისა და ზოგიერთ სხვა ოლქში სოფლის მშრომელებმა თავიანთი ნებით შემოიღეს „მშრალი" კანონი.

სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, მილიციის მუშაკების ერთობლივი შეთანხმებული მოქმედებით შეიძლება მხოლოდ ისეთი ამორალური და ანტისოციალური მოვლენის მოსპობა, როგორიცაა გადაჭარბებული სმა. ამ შეტევის ავანგარდში ყოფნა დღეს სამართალდაცვითი ორგანოების პარტიული ვალია.

5. ხელსაქმე ქართლის ბაღივით მოჩითული...

საქართველოს ინდუსტრიის გიგანტები

დღეს მთელი დღე გორელ ფეიქრებთან ვართ, კოლხეთმშენის, ენგურჰესის, ჭიათურის, ზესტაფონის მუშათა კლასის შემდეგ ეს ჩვენი მოთხრობა საგაზეთო რუბრიკით „საქართველოს ინდუსტრიის გიგანტები" მათ ეკუთვნის.

გორი საქართველოს საფეიქრო მრეწველობის თვალსაჩინო ცენტრია. მაგრამ უფრო უპრიანია დავიწყოთ იმით, რომ საქართველოში საფეიქრო მრეწველობა დღეს ერთ-ერთი წამყვანი დარგია. არაფერი რომ არ ვთქვათ ეროვნულ საფეიქრო ტრადიციებზე, ახლა თანამედროვე ქართულ ქსოვილს ტყუილად როდი ეტანება მომხმარებელი. იშვიათად ქსოვილების საკავშირო ბაზრობა, ჩვენებმა სხვაზე ადრე არ გაიქაონ ხელი, დამკვეთი და მუშტარი არ აკლია...

ორი წლის დამთავრებული იყო ომი, ლიახვისა და მტკვრის შესართავთან ზარი რომ დაჰკრეს და გორის ბამბეულის კომბინატის მშენებლობა დაიწყეს, ქვეყანამ ჭრილობები მოიშუშა და სამშვიდობო საქმეებისათვის მოიცალა, რამდენადაც შეიძლებოდა მასშტაბების გათვალისწინება, მშენებლობას არაფერი დააკლეს, მაგრამ თუ ასე გაიზრდებოდა ჩვენში საფეიქრო მრეწველობა, ჩანს, ძნელი წარმოსადგენი ყოფილა მაშინ.

ეს ადგილები ამილახვრიანთ სამოვრები ყოფილა და ახლა რომ ათასობით დაზგა გუგუნებს, ერთი საცოდავი წისქვილის სარეკელას ხმა ისმოდა მხოლოდ.

1951 წლის 1 მარტს პირველად დატრიალდნენ თითისტრები და პირველი გორული ნართი მიიღეს, მარტის ბოლოს რომ 12 ათასი თითისტარი აზრიალდა, ივნისში საქსოვი ფაბრიკის მონტაჟი დაიწყო.

ვისაც უნდა ეთქვა სერგო ყაზარაშვილისათვის, აქ ეს მოხდეს და შენ ქარგალი იქნებიო, არ დაიჯერებდა, არც მირიან ხახიაშვილს და იოსებ ნონიკაშვილს შეეძლოთ ამის წარმოდგენა, მაგრამ ფაქტი ფაქტია, ცხოვრებამ თავისი ქნა. არაფრიდან ეს მძლავრი წარმოება შექმნა და აქაური კაცის ცხოვრება ერთიანად შესცვალა.

საფეიქრო საქმიანობის მკვლევარებმა და ისტორიკოსებმა არაფერი დატოვეს შეუსწავლელი, ძველი კოლხეთიდან დღემდე თუ კი თითზე გადასახვევი რამ მოუქსოვიათ, არაფერი გამორჩენიათ. ეს საქმე რომ მოვგდგმოდა, ამას ისიც ადასტურებს, რომ ჩვენში ძველთაძველი გვარებია — მღებრიშვილი, მჩხავიშვილი, ჩეჩელაშვილი, მჩითავიშვილი, ფეიქრიშვილი, საჩეჩელაშვილი და სხვ. გარდა რთვისა და ქსოვისა, ქართველებისათვის კარგად ყოფილა ცნობილი ქსოვილის დაჩითვა და შეღებვა: ამას ერთი რუსეთის საარქივო დოკუმენტიც მოწმობს. მეთვრამეტე საუკუნის რუსულ საარქივო მასალებში დაცულია ერთი ცნობა, რომ მეფე ალექსი მიხეილის ძეს ქართველი საფარ დავიდოვისა (დავითაშვილი) და თავრიზელი ყიზილბაშის ასია მურატოვისათვის უბრძანებია მეფის სახელოსნოში სანიმუშოდ შეეღებათ ტილო და მიტკალი.

რაც უნდა მოვიძიოთ წარსულში, მოდით, აწმყოს ნუ შევადარებთ, აქ არ გამოდგება გამოთქმა, შედარებით ყველაფერი შეიცნობაო, ეს სტადიონისხელა საამქროები რომ ხელის თითისტარს შევადაროთ, არ გამოვა, უხერხულია!

ახლანდელმა თაობამ არც იცის თითისტარი. ჩვენ ბავშვობაში ბებია — ეს იყო ძამბით მოსილი (თითქმის აუცილებლად) მანდილოსანი, რომელიც თითისტარს ატრიალებდა, ფთილას მაფად ახვევდა. თვითონვე ჩეჩავდა და ქსოვდა, და გვიამბობდა ზღაპრებს „მაღალ კოშკის მეთუნახავზე"...

ახლანდელ შვილიშვილებს კი არ უნახავთ ასეთი ბებიები! ახლა თვითონ ბებიებმაც არ იციან, რა არის თითისტარი და საჩეჩელი, ზღაპრებს ხომ მთლად ტელედიქტორების სამსახურად იქცა... ხუმრობა იქით იყოს და, გორის კომბინატში ახლა უკვე მოვიდა ახალგაზრდობა, რომელთა დედები და ბებიები აქ, გორის კომბინატში მიადგნენ საფეიქრო. დაზგებსა და ლამაზლამაზი და ფერად-ფერადი ქსოვილების გამოშვება დაიწყეს. ნელი გელდიაშვილი, მრთველი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ოქრომარჯვეანა ქალიშვილი, ზეციდან კი არ ჩამოსულა, აქ გაიზარდა, დედის კალთასთან. ნელის დედა ლენა თავის დროზე სახელოვანი და გამრჯე ქალი, ბევრის აღმზრდელი და მასწავლებელია, რა გასაკვირია, რომ ის პატარა მარჯვე გოგო, თვითონაც თითისტარივით რომ ბზრიალებდა, დედის კვალს დაადგა და სახელოვან ქალად იქცა. ყველა საქმე ასეა, თუ გამრჯე ცვლამ არ ჩაიბარა ესტაფეტა, წინსვლა არ

უწერია. ახლა აქ 500-ზე მეტი პენსიონერია, ყოველ მათგანს დღესაც კომბინატისაკენ უჭირავს თვალი, ზოგი ისევ აქ ტრიალებს და სხვა „სათავისო" საქმეს პოულობს.

ამას რა ჯობს, ახალგაზრდას მაშინ აქვს მეტი ფასი, როცა „ძველგაზრდა" უმაგრებს მხარს...

რომ დაუკვირდეს კაცი, გული მოგივა საკუთარ თავზე და კოლეგებზე, იმდენს ვწერთ — „წარმოება მეორე ოჯახია", „წარმოება მეორე ოჯახია"... რომ ფასი დავუკარგეთ, უფრო სწორედ, შინაარსი დავუკარგეთ ამ ღრმა და ზუსტ ფრაზას, მით უმეტეს, როცა შრომითი კოლექტივი ხშირად ოჯახიცაა და უფრო მეტიც.

არ თქვას კაცმა, სწავლა და შრომით თავის გამოჩენა მინდოდა და ვერ შევძელიო. 60 კაცი სწავლობს აქ საფეიქრო ფაკულტეტზე დაუსწრებლად, თუ ვინმეს აკვნიდან პირდაპირ სამედიცინო ინსტიტუტში უნდა მოეწყოს და ვერ მოხვდა, მასთან ბოდიშს ვიხდით, თორემ სხვა ჩვენში, საწარმოში წარჩინებულს ან სახელი მოკლებოდეს ან უმაღლესი სასწავლებლის კარი ღია არ ჰქონდეს,... ტყუილია!

პირველად თურმე ნელი გელდიაშვილი მარინე ალბუთაშვილს მიაბარეს შეგირდად. ისე როგორც შეგირდი და ოსტატი იყვნენ, დედა-შვილი შეიძლება იყოს, ხან საქმეზე ხელს წაუკრავდა მარინე, ხან სიტყვას წააწევდა. ასეთ დროს „ერთად ყოფნის აუცილებლობა" მკვიდრდება, ეს ერთდროულად შრომაც არის და სწავლაც. სწორედ აქ ჩნდება ის სიყვარული, რომლის გარეშე შრომა ენერგიის ხარჯვაა მხოლოდ. ბედნიერებას მხოლოდ ის შრომა ანიჭებს ადამიანს, რომელიც უყვარს. ასე რომ, საწარმოში ეს შეგირდ-ოსტატის ურთიერთობა საქმის სიყვარულის გაკვეთილსაც მოიცავს.

მალე დადგა ნელი გელდიაშვილი სართავ დაზგასთან და დამოუკიდებელი შრომა დაიწყო. პირველი თვალსაჩინო განაცხადი, ფეიქარმა, კომკავშირული ბრიგადის ბრიგადირმა, 1980 წელს გააკეთა — 70 ათასი კილოგრამი ცალწვერა ნართი დაამზადა (50 ათასის ნაცვლად), მომსახურების ზონა 1.199-დან 1700 თითისტარამდე გაზარდა. ახლა 1920 თითისტარს ემსახურება.

ბრიგადის წევრებს არ იკითხავთ?

მარინე ნაგელიშვილი-სმირნოვა, ნათელა ქუქჩაშვილი, მარო ფცქიალაძე, ლეილა გიუაშვილი... მაქოსავით მარჯვე გოგოები. „გოგოებისათვის" ბოდიშს კი ვიხდით, მაგრამ თვითონაც იციან და წამკითხველმაც, რომ ეს „გოგოები" სიყვარულით დამუხტული სიტყვაა, რომელიც ასჯერ მეტს გამოხატავს, ვიდრე ჩვეულებრივი „გოგოები".

...ჩვენს პატარა „საექსკურსიო ჯგუფს", რომელიც ჩვენგან, მთავარ ინჟინერ ვანო ადუაშვილის, მთავარი ინჟინრის მოადგილე ივანე პოზოვისაგან შედგება, პარტიული კომიტეტის მდივანი ზურაბ კაპკაშვილი შემატა.

ის იყო ახლად მოდერნიზებულ ფაბრიკის ვეება საამქროდან გამოვედით და ატენურის დიდებულ ტალავერში შევისვენეთ.

— მოგეხსენებათ, — ჩაგვერთო საუბარში პარტიული კომიტეტის მდივანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხისადმი მიძღვნილ თათბირზე დაისახა ამოცანა მეცნიერების საფუძველზე მივაღწიოთ წარმოების მაქსიმალურ ინტენსიფიკაციას და პროდუქციის ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას.

გაერთიანება თავისი დიდი მასშტაბების გამო პრაქტიკულად უწყვეტი რეკონსტრუქციისა და განახლების პროცესშია, გვაქვს კიდეც გარკვეული მიღწევები...

თუმცა, გასაკეთებელიც ბევრია, მექანიზებული და ავტომატიზირებული საწარმოს პროცესების 52 პროცენტი არამწარმოებლური, ხელის შრომის პროცენტი კვლავ შესამცირებელია, ხუთი ათასი დანადგარიდან 2.400 15-წელზე მეტია ექსპლოატაციაშია. გადასაწყვეტია მომავალი გამმქვანი ფაბრიკის საკითხი, რომელიც აუცილებლად მოითხოვს განახლებას.

მთავარი ინჟინერი ვანო ადუაშვილი:

ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში ხელს შეგვიწყობს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობა. ვამზადებთ წინადადებებს, ვიმედოვნებთ დავნერგოთ საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის თანამედროვე საშუალებები.

მოგეხსენებათ, ჩვენი საუკუნე ავტომატიზაციის საუკუნეა, ტექნიკური ინტელიგენციის მთელი გონება იქით არის მიმართული, როგორმე მანქანამ გააკეთოს ადამიანის საქმე. მათ რომ ჰკითხოთ, კაცის ენერგია და ნიჭიერება სულ სხვა რაიმეზე უნდა დაიხარჯოს. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ამ საწარმოო გაერთიანებაში უკვე დადგეს „რობოტი", მაგრამ სანამ ამაზე გიამბობდეთ, მთავარი ინჟინრის მოადგილე ივანე პოზოვზე გეტყვით, ტომით ბერძენი, ადგილობრივი მკვიდრი, დიდი ხანია აქ ცხოვრობს და მუშაობს, მთავარი ინჟინერი ამბობს, ჩემი მარჯვენა ხელიაო.

ყველა კუნჭული რომ იცის, ყველა კაცისა და დანადგარის ხასიათი და სატკივარი. „რობოტებზე" ისეთი ხალისითა და სიხარულით ლაპარაკობს, თუ საქმემ არ გააჩერა, შეიძლება არ გაჩუმდეს.

აქაური „რობოტი" ალსაწერად ძნელია, რკინის „ხელები" და „თითები" ადამიანის მაგივრად საქმიანობენ, ახვევს, წონის, გადააქვს, აბინვებს, აქ არავინ ფუსფუსებს, არავინ არაფერს აწყობს და ითვლის.

გაერთიანების გენერალური დირექტორი მერაბ ნიჟარაძე ახლად მიღებულ ახალგაზრდებთან შეხვედრიდან ის იყო მობრუნდა. აქ ეს საკითხი აღელვებთ, უფრო ზუსტად ეს საკითხი ახლა თითქმის ყველა საწარმოში აღელვებთ. ამიტომ ცდილობს დირექტორი ახალბედა ისე არსად გამოჩნდეს, თვითონ არ ნახოს, არ ესაუბროს... ტრადიციად დამკვიდრდა — ახალმოსულ ახალგაზრდებს ჯერ წარმოებას გააცნობენ, მერე ფეიქართა მუზეუმში მიიყვანენ.

მუზეუმი ჩინებულად მოუწყვიათ. აგერ ვეტერანთა პორტრეტები, აი სოციალისტური შრომის გმირები ელენე გეგელაშვილი და ნანული ჩერქეზიშვილი, ლენინის ორდენოსანი ქარგლები კარლო ბესტავაშვილი, ირაკლი კობერიძე... მრავალი ორდენის კავალერი ალექსანდრე ბულგაკოვი, კომუნისტი ვ. ვალიშვილი.

აქ ვაცნობთ და აქ ვეცნობით ვინ მოდის და ვინ ვხვდებით!.. — ამბობს გაერთიანების დირექტორი.

ფერად-ფერად მოჩითულ ქსოვილებს ათვალიერებენ ახალგაზრდები. ხვალ ისინი მოვლენ და ამ მშვენიერ ქართლის ბაღს დაამსგავსებენ თავიანთ ხელსაქმეს.

გ. ვაშაკიძე,
რ. დვალიშვილი.

სურათზე: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნელი გელდიაშვილი გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების № 2 სართავი ფაბრიკის მრთველია. ამჟამად იგი 1990 წლის ანგარიშში შრომობს.

ვ. ვენზიურის ფოტო.

პარტიული ცხოვრება: ისმენენ კომუნისტის ანგარიშს, ამტკიცებენ დახასიათებას

რედაქციაში საჩივარი შემოვიდა. უჩიოდნენ ხელვაჩაურის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ზურაბ კახიძეს. კითხულობ საჩივარს და ორმაგი უსიამოვნება გეუფლება. ჯერ ერთი, საჩივარში აღძრული საკითხები თუ მართალია, გული გეტკინება: ხელმძღვანელი კაცი, რომელიც ხელქვეითს კეთილშობილების მაგალითს უნდა უჩვენებდეს, ბოროტად რატომ იყენებს თანამდებობას? თუ ბრალდებანი მოგონილია, მით უფრო გულსატკენია — ადამიანი რატომ იმდაბლებს თავს, რატომ ხდება ტენდენციური, რა სიამოვნებას ნახულობს, როცა სხვას უფუჭებს განწყობილებას და ხელს უშლის მუშაობაში?

ახალსოფელი რაიონის ერთ-ერთი მოწინავე სოფელია. მკლავმოუღლელმა მშრომელებმა გარემოს შეუცვალეს სახე. მათ რაიონის კოლმეურნეობათა შორის ჩაისა და ციტრუსების ყველაზე დიდი მოსავალი მოჰყავთ. ჩაის საშუალო ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ 14 ათას კილოგრამს გადააჭარბა, ციტრუსისამ — 15 ათას კილოგრამს. სამი წლის წინათ ამ სოფელზე „კომუნისტში" ნარკვევი დაიბეჭდა. მეშვიდე წელია, სოფელს ზ. კახიძე უდგას სათავეში. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც ჩაის, ისე ციტრუსის მოსავალი. თავმჯდომარეს ვიცნობთ როგორც პატიოსან, უანგარო, ყაირათიან მეურნე კაცს და უცებ... საჩივარი.

საჩივარი არ გაგვკვირვებია. ახალსოფელშიც არიან ზოგიერთები, რომელთაც ოდნავ არ აუტოკდებათ ხელი, ოღონდ კი სხვას ჩრდილი მიაყენონ. ბოლო 20 წელიწადში ხუთი თავმჯდომარე შეიცვალა, ხუთივეს დაუსრულებლად უჩიოდნენ, ტეხდნენ განგაშს, მოდიოდა კომისიები, იკარგებოდა ძვირფასი დრო, საჩივრები მაინც არ წყდებოდა.

ამჯერად საჩივარს ცოცხალი ადამიანები მოჰყვნენ. ისინი თავმჯდომარეს ბრალს სდებდნენ მიწათსარგებლობის წესების დარღვევაში, უჩიოდნენ რაღაც 800 ცალი ყუთის გამო, რომლებიც ციტრუსის კრეფის დროს ბრიგადებში გაიბნა, გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას რომ 23 კილომეტრით დაშორებული მთიდან დღემდე არ გამოუყვანია სასმელი წყალი, რასაც უამრავი რკინის მილი სჭირდება და ურთულესი რელიეფია დასაძლევი. წარმოიდგინეთ, იმასაც კი აბრალებენ, რომ წელს უსაშველოდ დიდი თოვლი მოვიდა, იმდენად დიდი, რომ ხალხი პლანტაციებში ვერ შედიოდა, და იმ მძიმე დღეებში თავმჯდომარე ორკაპით ხელში ყველა ბაღში არ იყო და პირადად არ მერტყავდა თოვლიან ხეებს.

ჭეშმარიტების დასადგენად პარტიის ხელვაჩაურის რაიკომში ჩავედი. საკმაოდ ვრცელი საქაღალდე მაჩვენეს, რომელიც საჩივრებითა და კომისიების დასკვნებით იყო სავსე. ურწმუნო თომას მსგავსად, ის სამი მომჩივანი არ იზიარებდა ოფიციალური კომისიების ობიექტურ დასკვნას და კვლავაც იმას ამბობდა, რაც ხელს აძლევდა.

— დღეს კოლმეურნეობის თავმჯდომარის ანგარიშს ისმენენ და პარტიულ დახასიათებას ამტკიცებენ, წავიდეთ, ხალხს მოვუსმინოთ, — მითხრეს პარტიის რაიკომის მუშაკებმა.

პარტიული ორგანიზაციის ღია კრება დღის ბოლოს დაიწყო კოლმეურნეობის კლუბში. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი დეტალი. სწორედ კრების დაწყების წინ უმნიშვნელო ქარი ამოვარდა და წვიმა წამოვიდა. როგორც კი კრების თავმჯდომარემ სიტყვა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ზ. კახიძეს მისცა, კლუბში სინათლე გამოითიშა და იმ საღამოს აღარც მოსულა. სანამ ლამფებს მოიტანდნენ, ხალხმა გულისტკივილს გაუხსნა გზა: — მუდამ ასეა, ოდნავ თუ დაუქროლა, სიბნელეში ვრჩებით. ელექტრობოძები დაძველდა, ხაზები და ქვესადგურები ამორტიზებულია, შარშან ასეთ მდგომარეობას ბავშვი შეეწირა. რაიონის ელექტროქსელის უფროსი ილია ფუტკარაძე თავს არხეინად გრძნობს, თითქოს ქსელების გამართული მუშაობა მას არ ეხებოდეს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ზ. კახიძეს კარგი ბიოგრაფია აქვს. შრომითი საქმიანობა რიგით კოლმეურნედ დაიწყო. იყო საბჭოთა არმიაში, დემობილიზაციის შემდეგ მუშაობდა სასოფლო საბჭოში, თან დაუსწრებლად სწავლობდა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში. იყო აგროტექნიკოს-ბრიგადირი, კოლმეურნეობის ენტომოლოგი, აგრონომი, კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი, გონიოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე. 1978 წლიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. როგორც ვხედავთ, კანონზომიერი აღმასვლაა. პირველი დღეებიდანვე საქმეს აქტიურად მოჰკიდა ხელი. შემოიმატა ფართობები. 2-3 ტონით გაზარდა ჩაისა და ციტრუსის ჰექტარობრივი მოსავლიანობა, იმატა ბოსტნეულის, კარტოფილის წარმოებამ. მისი ინიციატივით აშენდა ახალი კლუბ-კანტორა. მხარში უდგას პედაგოგთა კოლექტივს, შეფობს სკოლებს, არემონტებს მათ, ყიდულობს ინვენტარს. დაგეგმა მთის წყლის ჩამოყვანა. 300 ლიტრით გაიზარდა ფურის წველადობა. კოლმეურნეობაში გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. ბაღებსა და პლანტაციებს არ აკლებენ მზრუნველობას. ამის დასტურია უხვი მოსავალი.

თავმჯდომარე აქტიურობს საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. არის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი, სახალხო რაზმელთა შტაბის უფროსი, პარტიული კომიტეტის წევრი. პარტიული კომიტეტისა და პარტიული კრებისათვის ხშირად ამზადებს საკითხებს.

კრებაზე ანგარიშით გამოსვლისას მან გულახდილად ილაპარაკა კოლმეურნეობაში არსებულ ხარვეზებზე. გააკრიტიკა მეჩაიეთა ბრიგადები, რომლებიც ჯერ კიდევ ჩამორჩებიან შარშანდელ დონეს. მეექვსე და მეათე ბრიგადების ხელმძღვანელებმა ხელი მოაკლეს ბოსტანს. კოლმეურნეობის დამამზადებელმა ჯ. მიქელაძემ დაამზადა უხარისხო თივა, რამაც უარყოფითად იმოქმედა პირუტყვის პროდუქტიულობაზე. შარშან 23 კოლმეურნემ ვერ შეასრულა შრომის მინიმუმი. ჯერ კიდევ დაბალია შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინა. სოფელში ზოგიერთ ოჯახსა და მეზობელს შორის არის კონფლიქტური სიტუაცია, რასაც აქამდე ვერ მოუღეს ბოლო. თვითკრიტიკულად აღინიშნა ისიც, რომ მეჩაიეობასა და მეციტრუსეობაში მასობრივად არ შეუქმნიათ საიჯარო რგოლები და ბრიგადები.

— ჩემი საქმიანობის გამკითხავი თქვენა ხართ. რაც გავაკეთე, თქვენი დახმარებით და თქვენთან ერთად გავაკეთე. რაც ცუდად გავაკეთე, ან ვერ გავაკეთე, აქა ხართ, მითხარით და გავითვალისწინებ. — დასასრულ ასე მიმართა კრებას.

კამათი მეტად საქმიანი გამოვიდა: აგრონომმა მ. შარაძემ, ფერმის ოპერატორმა მ. ზოიძემ, პროფორგანიზაციის თავმჯდომარემ ნ. გოგეშვილმა, მთავარმა ბუღალტერმა ვ. ნაგერვაძემ, პარტიული კომიტეტის მდივანმა ნ. წულუკიძემ და სხვებმა თავმჯდომარეს დაუფარავად „პირში უძრახეს" რაც სათქმელი ჰქონდათ. სათქმელი კი საკმარისად აღმოაჩნდათ. რაც მთავარია, ერთხმად აღნიშნეს ის, რომ ზ. კახიძე უანგა-

ხელმძღვანელის პოზიცია

რო და თავდადებულია, რომ მისი მუშაობის პერიოდში კოლმეურნეობამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა, მაგრამ გასაკეთებელიც ბევრი დარჩა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე სამუშაო დღეს ფერმიდან უნდა იწყებდეს, ეს კი ასე არ ხდებაო, თქვეს. სუბიექტურობაშიც დასდეს ბრალი. ზოგჯერ საკითხებს ერთპიროვნულად, სხვასთან შეუთანხმებლად წყვეტს, ზოგჯერ მოგისმენს, თავსაც დაგიკრავს, მაგრამ მაინც თავისებურად აკეთებს, ვინმეს თვალს დაადგამს და აღამაღლებს, სხვა კი შეუმჩნეველი რჩებაო. კოლმეურნეობას ცოტა აქვს მწვანე მასის დასათესი ფართობები, არა აქვს სილოსის ჩასადები ტექნიკა. თავმჯდომარე გატაცებულია სამეურნეო საქმეებით. მხედველობიდან რჩება სოფლის კეთილმოწყობა. გზებზე დაზიანდა შავი საფარი, საჭიროა მისი აღდგენა. ტელეფონსა და რადიოზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია, არც ერთი მუშაობს, არც — მეორე.

კრებაზე ერთი რამ ხაზგასმით შეიმჩნეოდა. ყველა წვრილმანისა თუ დიდი საქმის გაკეთებას თავმჯდომარისაგან მოითხოვდნენ, მას შეჰყურებდნენ, როგორც ყოვლისმოქმედსა და ყოვლისშემძლეს. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ფუნქციები, შრომის ორგანიზაცია სწორად არ არის განაწილებული.

პარტიის ხელვაჩაურის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ თ. ბოლქვაძემ კრებას გააცნო ზ. კახიძის შესახებ პარტიის რაიკომის მოკლე დახასიათება, რომელშიც აღნიშნული იყო ის დადებითი და უარყოფითი თვისებები, რომლებსაც ზ. კახიძე ავლენს მუშაობის დროს.

ერთი კი ნათლად გამოიკვეთა. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს სოფელი აბსოლუტურად ენდობა, მხარში უდგას და მიჰყვება დიდი საქმეების გადასაწყვეტად. კომუნისტებმა გულისტკივილით აღნიშნეს, რომ სოფელში ჯერ კიდევ არიან მჯღაბნელები, რომლებიც სულ იმას ცდილობენ, როგორმე წყალი აამღვრიონ და მდგომარეობით ისარგებლონ. რას იზამ, ყველას გულს ვერ მოიგებ.

პარტიულ დახასიათებაში, რომელიც კრებამ ერთხმად დაამტკიცა, ასე ეწერა: „კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში ზ. კახიძემ თავი გამოიჩინა როგორც შრომისმოყვარე, კვალიფიციურმა სპეციალისტმა, აქვს კარგი ორგანიზატორული უნარი, შეუძლია კოლექტივის დარაზმვა და გაყოლიება. მისი ხელმძღვანელობის დროს კოლმეურნეობამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია"...

კრების ამაღლებულმა ტონმა, საქმიანმა, კრიტიკულმა და თვითკრიტიკულმა გამოსვლებმა დამარწმუნა, რომ ახალსოფლელები ახალ შრომით წარმატებებს მოიპოვებენ, უფრო განადიდებენ და გაამშვენიერებენ მშობლიურ სოფელს, მეტს იფიქრებენ თითოეულის წვლილსა და კეთილდღეობაზე.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების ოთხმოცდაათი წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, მოქანდაკე სილოვან იაკიმეს ძე **კაკაბაძე** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ფილოლოგიის მეცნიერების განვითარებასა და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის, აქტიური საზოგადო მოღვაწეობისათვის და დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წევრი ამხ. ვახუშტი ვახტანგის ძე **კოტეტიშვილი** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

ბუნების დაცვას — დეპუტატების კონტროლი

ბორჯომმა და წყალტუბომ სამართლიანად მოიხვეჭეს საკავშირო ჯანმრთელობის კერების სახელი. ამ საკურორტო ქალაქების გარემოს დაცვისა და ბუნებრივი კლიმატური ფაქტორების მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებები განიხილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისიის სხდომაზე.

აღნიშნეს რა, რომ ორივე საკურორტო ზონაში ადგილობრივი საბჭოები გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებენ ბუნების დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესასრულებლად, დეპუტატებმა ყურადღება გაამახვილეს სერიოზულ ნაკლოვანებებზე და ...

... ერთევე ადმინისტრაციულ ორგანოებს, რომელთა საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება უნდა გახდეს ბუნების დაცვის კანონმდებლობის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ ს. დურმიშიძემ.

(საქინფორმი).

გამოცდილება საერთო მეთვალყურება უნდა გახდეს

ბალის რაიონში არის მეურნეობები რომელთა პლანტაციებს ჩაის საწყობებსა და მოწინავე გამოცდილების სკოლას უწოდებენ. აქ კარგად არის მოგვარებული შრომის ორგანიზაცია, იწევენ უხვ მოსავალს, შედარებით დაბალია პროდუქციის თვითღირებულება. სწორედ ერთ-ერთი მათგანის — ქვემო ბარლების საბჭოთა მეურნეობის ბაზაზე ... კავშირის სოფლის მეურნეობის ...

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

19 სექტემბერი ● საკდესი იუწყება

მშვიდობიანი მომავლის ინტერესებისათვის

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესია

ნიუ-იორკი. სსრ კავშირის ახალ დიდი მასშტაბის წინადადებას იმის თაობაზე, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-40 სესიაზე განიხილონ საკითხი „კოსმოსური სივრცის არამილიტარიზაციის პირობებში მის მშვიდობიან ათვისებაში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ", ...

მოხდეს ნამდვილად ისტორიული მნიშვნელობის არჩევანი: ან კოსმოსი ჩადგება მშვიდობის სამსახურში, ან კაცობრიობის მიერ სივრცის ახალი ათვისება გახდება მომაკვდინებელი საშიშროების წყარო. გაერთიანებული ერების ...

დიდ მასშტაბსა და ინტენსიურობას მიიძენს ყველა მიმართულებით.

რეკომენდებულ დღის წესრიგში 146 საკითხია, რომლებიც მთლიანად მოიცავს საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს ...

ბა დედამიწაზე და თავიდან აიცილონ იგი კოსმოსში, გააჯანსაღონ საერთაშორისო კლიმატი და მოაწესრიგონ სახელმწიფოთა შორის საქმიანი თანამშრომლობა.

მე-40 სესიის მუშაობის წამოყენებული პროგრამა ასახავს იმას, რომ სახელმწიფოები სერიოზულად არიან შეშფოთებული პლანეტის მრავალ რეგიონში არსებული აფეთქებასაშიში ვითარებით, რომელიც შეიქმნა იმპერიალისტური ძალების, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების იმ მისწრაფების შედეგად, რომ თავს მოახვიონ სხვებს თავიანთი ნება, უცერემონიოდ ჩაერიონ სუვერენული ქვეყნების ...

● პოლონეთი

ვ. იარუზელსკი: მტკიცედ მივაბიჯებთ წინ

ვარშავა. სახალხო პოლონეთი სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად მხარს უჭერს იმას, რომ მშვიდობიანად განვითარდეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკონომიკური, სამეცნიერო და კულტურული ურთიერთობა, რომელიც დაფუძნებული იქნება თანასწორობის, თანაბარი უშიშროებისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპებზე. მხოლოდ ასეთ მსოფლიოში შეიძლება ვეძებოთ თანამედროვეობის ძნელი პრობლემების გადაწყვეტის გზები, თქვა პრენსა ლატინას სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. იარუზელსკიმ.

ბული სამხედრო-სტრატეგიული წონასწორობის დარღვევას, რაც კანონზომიერად იწვევს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მტკიცე პროტესტს. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა თანამიმდევრულად უჭერს მხარს მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის გამოყენებას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებს შეესაბამება საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივების რეალიზაცია, რომელთა მთავარი მიზანია ბოლო მოუღოს ქვეყნად გამალებულ შეიარაღებას და არ დაუშვას კოსმოსის მილიტარიზაცია. ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ განვითარდეს საერთაშორისო თანამშრომლობა კოსმოსური სივრცის მშვიდობიან გამოყენებაში მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

შეეხო რა პოლონეთის ვითარებას, ვ. იარუზელსკიმ თქვა, რომ იმპერიალიზმისა და შინაური კონტრრევოლუციის ძალები ცდილობდნენ და კვლავ ცდილობენ ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაციას, ეს კი საფრთხეს შეუქმნის მშვიდობას ევროპასა და მთელ მსოფლიოში.

ჩვენ ჯერ კიდევ ძალზე გვიჭირს, აღნიშნა მან. მაგრამ მტკიცედ მივაბიჯებთ წინ, და თანამი-

მდევრულად ... სოციალისტური პოლონეთის განვითარების პროგრამას. განვლილი ოთხი წლის განმავლობაში ქვეყანაში აღდგა საზოგადოებრივი სიმშვიდე. ეს მოხდა იმის მიუხედავად, რომ ამერიკა მიმართავს სანქციებს, ცდილობს იზოლაციაში მოაქციოს პოლონეთი საერთაშორისო ასპარეზზე, დასავლეთი პოლონეთის წინააღმდეგ აღრიცხავს პროპაგანდისტულ არესიას. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია სულ უფრო ეფექტიანად ახორციელებენ თავის ხელმძღვანელ როლს. მისი პოლიტიკა შეესაბამება პოლონელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. ქვეყნის განვითარების ახალ მიჯნებს განსაზღვრავს პარტიის მომავალი X ყრილობა.

დღეს იმპერიალიზმის მიზეზით გამწვავებული საერთაშორისო ვითარების, გამალებული შეიარაღების ზრდის, კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის საფრთხის პირობებში, დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველ კონსტრუქციულ ნაბიჯს, რომელიც გადაიდგმება მოლაპარაკების, დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობისაკენ შემობრუნების სასარგებლოდ, ხაზი გაუსვა დასასრულ ვ. იარუზელსკიმ.

ირან-ერაყის კონფლიქტი

ბაღდადი: ერაყის ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენებმა მორიგი დარტყმა მიაყენეს ხარკის კუნძულს, სადაც განლაგებულია ირანის უდიდესი ნავთობის ტერმინალი. ამავე დროს ერაყის ავიაციამ დარტყმა მიაყენა ირანის ორ ჰიდროელექტროსადგურს და მოსპო ორი სატრანსფორმატორო ქვესადგური. სულ განვლილი დღე-ღამის განმავლობაში ერაყის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა 86 საბრძოლო გაფრენა განახორციელეს „მაისანის აღმოსავლეთით" და „მდინარე ტიგროსის აღმოსავლეთით" მდებარე უბნებზე. მათ დარტყმები მიაყენეს მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალას, პოზიციებს, შტაბებსა და კომუნიკაციებს, ნათქვამია ერაყის მთავარი სამხედრო სარდლობის კომუნიკეში.

ირანის არტილერიამ ცეცხლი დაუშინა სოფელ აშ-შიხაბს.

ნიქოზია. ირანის საინფორმაციო სააგენტო იტყობინება, რომ ორშაბათს ირანის საჰაერო თავდაცვის ქვეგანაყოფებმა მოიგერიეს ერაყის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავების თავდასხმა დასახლებულ პუნქტ ბოსთანზე.

ბოლო დღე-ღამის მანძილზე ირანელებმა ფრონტის ცენტრალურ უბანზე არტილერიის ცეცხლით ერაყს გაუნადგურეს ქვემეხები, ნაღმსატყორცნები, საცეცხლე წერტები და სხვა სამხედრო სამიზნეები.

ერაყის ბატარეები კვლავ უშენდნენ ცეცხლს ქალაქებს აბადანსა და ხორემშაჰრს ირანის ტერიტორიაზე.

ფოტოინფორმაცია

● ლიბანი

კვლავ სისხლიანი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს ლიბანში ვითარების მოწესრიგების მოწინააღმდეგეებმა. ქალაქ ზახლის ერთ-ერთ ყველაზე ხალხმრავალ ქუჩაში დინამიტით სავსე ავტომობილი ააფეთქეს, რამაც 60 ლიბანელი შეიწირა.

ამ ქვეყნის პოლიტიკურ წრეებში ამ დანაშაულისათვის პასუხისმგებლობას აკისრებენ ისრაელის აგენტურას, რომელიც თელ-ავივის მითითებით ამძაფრებს ლიბანში დაძაბულობას, ცდილობს ჩაშალოს ცენტრალურ ხელისუფალთა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ისრაელის ოკუპაციისაგან ქვეყნის სრული განთავისუფლება.

სურათზე: აი, აქ აფეთქდა ავტომობილი.

ასოშიეიტედ პრეს-საკდესის ტელეფოტო.

ჟენევა: მესამე ტურის პერსპექტივები

ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში

● ნიკარაგუა

მტერი ვერ გაიმარჯვებს

მანაგუა. ჩაიფუშა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ცდები, რომ მოეხდინა მდგომარეობის დესტაბილიზაცია ნიკარაგუის ატლანტიკური სანაპიროს ცენტრალურ ზონაში. ამერიკის საჯაშუშო უწყების გეგმებში სექტემბერი განსაზღვრული იყო როგორც „გადამწყვეტი" თვე, რათა ხელთ ეგდოთ სიუნის მაღაროები და შახტები და სრულიად მოეწყვიტათ ეს სტრატეგიული მნიშვნელობის ...

... სახალხო მილიციის რაზმებმა ჩაფუშეს ეს დანაშაულებრივი ზრახვები. მარტო ბოლო დღეებში, გაწუცხადა ჟურნალისტებს ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ამ ზონის კომიტეტის კოორდინატორმა ხოსე დავიდ სუნიგამ, სანდინისტური სახალხო არმიის მებრძოლებმა 70-ზე მეტი ბანდიტი დახოცეს.

ბრძოლების დროს ტყვეობიდან იხსნეს ადგილობრივი გლეხების დიდი ჯგუფი, რომლებიც კონტრრევოლუციონერებმა გაიტაცეს. გარდა ამისა პატრიოტებმა გაათავისუფლეს სუმოს ტომის რამდენიმე ათეული ინდიელი რომლებიც აგრეთვე შეიპყრეს სომოსელებმა და ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს.

კონტრრევოლუციის მტრული გამოხდომების წინააღმდეგ, აღნიშნა ეროვნული განთავისუფლე-... ხელოსნები, დიასახლისები.

ნიკარაგუის დამცველთა მამაცობისა და გმირობის წყალობით, ხაზი გაუსვა სუნიგამ, ვითარება ატლანტიკური სანაპიროს ცენტრალურ ზონაში თანდათანობით ნორმალური ხდება. მშვიდობიან შრომას უბრუნდებიან გლეხები და ინდიელები, შეუფერხებლად მუშაობენ სამთამადნო საწარმოები.

● ვენესუელა

ფინანსური უფსკრული

კარაკასი. სერიოზულ ეკონომიკურ დაქვეითებას განიცდის ვენესუელა. როგორც ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ ამერიკის ქვეყნების განვითარების ბანკის აქ გავრცელებულ ყოველწლიურ მოხსენებაშია აღნიშნული, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მსოფლიო ფასების შემცირების გამო ვენესუელა უახლოეს ხანში სავალუტო შემოსულობათა გადიდებას არ უნდა ელოდეს. უკვე 35 მილიარდ დოლარს უახლოვდება საგარეო ვალი, რომლის დაფარვის მიზნით სახსრების გამონახვისათვის ვენესუელის მთავრობას უახლოეს ხანში მოუწევს სოციალური განვითარების საჭიროებებისათვის ასიგნებათა შემცირება.

ამერიკის ქვეყნების განვითარების ბანკის მონაცემებით, მთლიანი ეროვნული პროდუქტის მატება 1983 წელს 4,8 პროცენტით შემცირდა, ხოლო 1984 წელს — კიდევ 1,7 პროცენტით. ამ მაჩვენებლის მიხედვით ქვეყანა 1977 წლის დონემდე დაეცა.

ამერიკის ქვეყნების განვითარების ბანკის სპეციალისტთა აზრით, არსებითი ძვრები არც სოფლის მეურნეობაში არ მოხდება. ამიტომ არ არის მოსალოდნელი სოფლის მეურნეობის პროდუქციის, წარმოების გადიდება.

მნიშვნელოვანი დაქვეითება მოხდა მშენებლობაში, განსაკუთრებით საბინაო მშენებლობაში. მისმა მოცულობამ 1984 წელს 1978 წლის მაჩვენებლების მხოლოდ 45 პროცენტი შეადგინა. მაგრამ ქვეყანაში საცხოვრებელი ბინების მწვავე ნაკლებობის მიუხედავად საცხოვრებელი ფონდის დიდი ნაწილი ცარიელია ბინების დიდი ქირის გამო.

სამრეწველო წარმოების გაყინვა განაპირობებს სწრაფი ტემპით მზარდი უმუშევრობის შემდგომ გადიდებას. 1982 წელს იგი თვითმოქმედი მოსახლეობის 7,1 პროცენტს შეადგენდა, 1983 წელს — უკვე 10 პროცენტს, ხოლო 1984 წელს — 13 პროცენტს.

დიდი ეკონომიკური სიძნელეები, რომლებსაც ვენესუელა აწყდება, იწვევს სიძვირის ზრდას, რეალური ხელფასის შემცირებას. ყოველივე ეს მეტად ნეგატიურ გავლენას ახდენს ხალხის ფართო მასების ცხოვრების დონეზე.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

ვანი

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

◆ **უკანასკნელ** ხანს რაიონში დიდი ყურადღება ეთმობა სამრეწველო ობიექტების მშენებლობას. ქალაქში მწყობრში ჩადგა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საკონსერვო ქარხანა, რომელიც ყოველწლიურად 20 მილიონამდე ქილა კონსერვს გამოუშვებს. ამავე ობიექტში დამონტაჟდა ე. წ. „ლანგის" ხაზი, რომელიც დღე-ღამეში 100 ტონა პამიდორს გადაამუშავებს.

დამთავრდა ადგილობრივი მრეწველობის ქარხნის მეორე რიგის მშენებლობაც, რომელმაც ამ დღეებში პირველი პროდუქცია — ნაირნაირი ელექტრომოწყობილობანი მიაწოდა მომხმარებელს.

◆ **„საჩინო"** ასე ეწოდება ვანის სამეურნეობათაშორისო ჩაის ფაბრიკის მიერ ნარჩენების ბაზაზე და სხვა მინარევების გამოყენე-

> ● სიახლენი ● ალპურ საძოვრებზე ● მშრომელთა კეთილდღეობისათვის ● ცოდნის კერები ● მემორიალები

ბით დამზადებულ, სურნელოვან გამაგრილებელ სასმელს, რომელიც 0,33 ლიტრი ტევადობის ბოთლებშია ჩამოსხმული. მომხმარებელს მოსწონს ეს ფრიად სასიამოვნო სასმელი.

◆ **დამთავრდა** ბუნებრივი გაზის გაყვანა, რომლის სიკეთითაც უკვე 300-ზე მეტი ოჯახი სარგებლობს. გაზიფიცირებულია ქალაქის კომუნალური ბინები და მომავალი წლისათვის ყველა ოჯახი ისარგებლებს ამ სიკეთით.

◆ **დიდი** ყურადღება ექცევა ქალაქისა და სოფლების ტელეფონიზაციას. ქალაქში აშენდა კავშირგაბმულობის ხუთსართულიანი შენობა, რომელშიც დამონტაჟებულია 2000-ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური, რაც მთლიანად აკმაყოფილებს ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებას.

ახალი ავტომატური სატელეფონო სადგურები გადაეცა საექსპლოატაციოდ შუამთაში, სულორში, ტობანიერში, მთისძირში, ყუმურში, ზეინდარსა და ბზვანში.

◆ **ფართო** მოცულობის სამუშაოები მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. აშენდა ქალაქის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმა, რომელიც ერთ-ერთი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ფერმაა რაიონში და 400 სული სარძეო პირუტყვისათვისაა განკუთვნილი. ფერმის კეთილმოწყობის სამუშაოები საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს კოლექტივმა შეასრულა.

◆ **დიდი** ყურადღება ექცევა ალპურ საძოვრებზე მისასვლელი გზების კეთილმოწყობას, მწყემსთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ამ დღეებში მათთვის სპეციალურად გაიყვანეს 25-კილომეტრიანი საჰაერო ტელეფონის ხაზი საძოვრებამდე, რომლებიც ზღვის დონიდან 2400 მეტრზე მდებარეობს. მწყემსებს საშუალება აქვთ ტელეფონით დაუკავშირდნენ რაიონის ნებისმიერ ორგანიზაციასა თუ საწარმო-დაწესებულებას, ოჯახს.

მაღალმთიან სოფლებში ვადიდსა და სულორში დამთავრდა ახალი გზების გაყვანა.

◆ **მშრომელთა** ჯანმრთელობის დაცვას ემსახურებიან ბალნეოლოგიური კურორტები სულორი და ამაღლება, რომელთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისათვის ბევრი რამ გაკეთდა. ამაღლებაში 60-ადგილიანი, სულორში კი 80-ადგილიანი დასასვენებელი სახლები ჩადგა მშრომელთა სამსახურში.

ქალაქის ცენტრში გაიხსნა საცურაო აუზი, სადაც ჯანმრთელობას იკაჟებს ახალგაზრდობა.

◆ **ბევრი** რამ გაკეთდა რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის: სოფელ შუამთაში მწყობრში ჩადგა სავაჭრო ცენტრის კეთილმოწყობილი შენობა, რომელსაც აქვს ფეხსაცმლის, მზა ტანსაცმლის, კულტსაგალანტერეო და საოჯახო საქონლის სექციები. აქვეა კაფეც.

ქალაქის ცენტრში გაიხსნა სპორტული მაღაზია, რომელიც მომხმარებელთა დიდ მოწონებას იმსახურებს.

◆ **უკანასკნელ** წლებში სწრაფი ტემპით მტკიცდება სკოლებისა და ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ქსელის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ნორჩებმა ახალმოსახლეობა იზეიმეს ახალი საბავშვო ბაღის შენობებში — გორაში, სალხინოში, მთისძირში.

◆ **დიდ** სამამულო ომში დაღუპულ რაიონის მკვიდრთა სახელის უკვდავსაყოფად აიგო მემორიალები ქალაქის ცენტრსა და სოფლებში — შუამთასა და ყუმურში.

დიდი სამამულო ომის ინვალიდებისათვის, პარტიისა და შრომის ვეტერანებისათვის ახლახან ქალაქში გაიხსნა სპეციალური მაღაზია.

◆ **საექსპლოატაციოდ** გადაეცა ახალი წყალსადენი. 2600-ტონიანი წყალსაცავი აიგო ქალაქის ყველაზე მაღალ ადგილას — „მშვიდობის გორაზე". ასე რომ, მოსახლეობა უზრუნველყოფილია სასმელი წყლით.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

მთაში გაისმა სიმღერა

ჯავა. („კომუნისტის" საკ. კორ.) ალპურ საძოვრებზე ალაღებენ ცხვარს ჯავის, ლენინგორისა და წითელწყაროს რაიონების მეცხვარეები. ახლა მეტად პასუხსაგები პერიოდია მათთვის — ცხვარი უნდა გაპარსონ და მოამზადონ ზამთრის საძოვრებზე გადასარეკად. ამ დღეებში კობეთის მთებში მყოფ მეცხვარეებს ესტუმრა ცხინვალის რაიონის ქურთის კულტურის სახლის აგიტმხატვრული ბრიგადა. დღისით მათ კონცერტი გამართეს კობეთის პიონერთა ბანაკისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის. საღამოს კი, როცა ცხვრის საპარსი აგრეგატების ხმაური შეწყდა და დაღლილმა მწყემსებმა ივახშმეს, აგიტმხატვრული ბრიგადის წევრებმაც ჩამოჰკრეს ფანდურს, აჟღერეს გიტარები და არემარეს მოეფინა ქართული, ოსური, რუსული მელოდიები. მერე წითელწყაროელ მწყემსთა ბრიგადირმა ვაჟა ბატიაშვილმაც აიღო ფანდური, მას გვერდში ამოუდგა ვეტექიმი ფ. გაზაევი და დაამღერეს „მწყემსური". საამო საღამომ გაახალისა მწყემსებიცა და აგიტმხატვრული ბრიგადის წევრებიც.

„კომუნისტი"
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.
რედაქცია:
რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10; განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-81, მარქსის-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-95-20, სოფლის მეურნეობის — 95-32-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-84, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ფელეტონის — 93-22-98, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.
[illegible]

დაიბადა სამი ტყუპისცალი...

გაგრაში დასასვენებლად ჩამოსულმა კრასნოდარელმა მედიკოსმა ცოლ-ქმარმა ტატიანა და სერგი ბრუტებმა სრულიად მოულოდნელად ქალაქ-კურორტის საპატიო მოქალაქეთა წოდება დაიმსახურეს. „დედათა და ბავშვთა" პანსიონატის თანამშრომლებმა მათ მომავალი წლის საოჯახო საგზური უბოძეს.

...გაგრის სამშობიარო სახლის გამოცდილმა ექიმებმა დაადგინეს, რომ ტატიანა ბრუტს ტყუპი შეეძინებოდა, მაგრამ შეცდნენ ვარაუდში. ამ დღეს იგი სამი გოგოს დედა გახდა. ბავშვებს ვალენტინა, მარგარიტა და ტატიანა დაარქვეს.

სპეციალურმა სამედიცინო ბრიგადამ მაშინვე თავს იდო ჩვილებისა და მათი დედისათვის ზრუნვა. განყოფილების გამგემ მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ე. ქოთუამ, ექიმმა-გინეკოლოგმა ა. ზარუკიანმა და ბავშვთა ექიმმა ლ. გვასალიამ უზრუნველყვეს მათი კარგი მოვლა.

ბრუტების ოჯახი კურორტიდან შინ მრავალშვილიანი დაბრუნდა.

თ. ჯიბუტი,
(საქინფორმის კორ.).

ზაფხული მაინც ზაფხულია, შვებულებების, სულის მოთქმის დროა, ამიტომ მკითხველიც შეამჩნევდა, ზაფხული „კომუნისტის" „სასტუმროსაც" დაეტყო.

და აი, შემოდგომის დასაწყისის პირველი სტუმარი გახლავთ ცნობილი კინოოპერატორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი ირაკლი ონოფრიშვილი.

...იგი თბილისელი კაცია — ვერისუბნელი. ძვალრბილში აქვს გამჯდარი მშობლიური ქალაქის სიყვარული და ამ სიყვარულს მთელ საქართველოს, მის დიდებულ წარსულსა და დღევანდელობას უნაწილებს, რაც მთავარია, იგი საქმით, შემოქმედებით ამტკიცებს სამშობლოს სიყვარულს.

ვისაც ირაკლი ონოფრიშვილის ოპერატორული ნამუშევრები „ძველი ქართული საგალობლები" (რეჟისორი — ს. ჩხაიძე), „შორია გურჯისტანამდე", „წმინდა ათონის მატიანე", „ტაო-კლარჯეთი" (რეჟისორი — გ. პატარაია) უნახავს, დამერწმუნება, თუ რა სიყვარულია ჩაქსოვილი ყოველ კადრში, რა თავისებურად არის დანახული მიზანსცენა თუ პეიზაჟი. და ყველაფერი სადად, შეულამაზებლად...

იქნებ ბედმა გაუღიმა კიდეც ირაკლი ონოფრიშვილს, რომ მის შემოქმედებაში ასე „შემოჭრილიყო" პატრიოტული მოტივი? არამც და არამც. ამ ნიჭიერი ოპერატორის პიროვნებასა და ცხოვრების წესს რომ ვიცნობთ, ერთი წუთითაც არ გვეეჭვება: სწორედ მას უნდა რგებოდა წილად ბედნიერება ფეხით დაევლო ჩვენი უწმინდესი ადგილები, მოფერებოდა უძველეს ქართულ წარწერებსა თუ ფოლიანტებს, მონასტრებსა თუ ციხე-კოშკებს და თანაც დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის ფირზე აღებეჭდა ერის უკვდავების მღაღადებელი კადრები.

ამის გაკეთება კი უცხო მიწაზე, დამეთანხმებით, არცთუ ადვილი საქმეა.

ირაკლი ონოფრიშვილის პორტრეტის სრულყოფისათვის ჩვენ აქ ერთ-ორ პიროვნებას მოვიხმობთ, ადამიანებს, რომლებთანაც ოპერატორს ახლო მეგობრული, შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებს.

პროფესორ ალექსანდრე ალექსიძის ნაუბარი:

ირაკლი ონოფრიშვილს დავუახლოვდი ჩვენი ერთობლივი მუშაობის დროს, გურამ პატარაიასთან ერთად, დოკუმენტურ ფილმზე ათონის მთის ქართულ სიძველეთა შესახებ. მოხდა ისე, რომ ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფიდან პირველმა ათონზე ასვლა და მისი დღევანდელი ვითარების შესახებ სიტყვიერი და კინემატოგრაფიული ინფორმაციის ჩამოტანა ირაკლი ონოფრიშვილმა შეძლო. არასოდეს დამავიწყდება მისი მონათხრობი პირველი შთაბეჭდილებისა და განცდის შესახებ, როდესაც იგი მღელვარებით შეპყრობილი იდგა, მარტო, ივერთა ლავრის წინ და მოკრძალებით ეხებოდა მის გალავანს. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ისტორიული ხელისშეხება, რომელიც მოასწავებდა ჩვენი კულტურის ამ უდიდეს კერასთან მრავალი წლის გაწყვეტილი კავშირის განახლებას. ეს ეპიზოდი ალბათ, იმიტომაც არის შთამბეჭდავი, რომ ირაკლის, როგორც ნამდვილ ქართველს სულითა და იერით, განსაკუთრებით შეენოდა ეს სიმბოლური როლი.

ის, რაც გააკეთა ირაკლი ონოფრიშვილმა ათონზე (და არა მხოლოდ ათონზე) ქართული ისტორიული რელიკვიების გამოვლენისა და ფიქსაციის მხრივ, ჭეშმარიტად ფასდაუდებელია ჩვენი კულტურის ისტორიისათვის. მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ ათონის რთულ და ძნელად შესაღწევ სამყაროში პატარაიამ და ონოფრიშვილმა შეუძლებელი შეძლეს.

შემდგომ მე ყურადღებით ვადევნებდი თვალს ირაკლის შემოქმედებას, რომელმაც განსაკუთრებით მოგვხიბლა „თუშ მეცხვარეში". მის საოპერატორო ხელოვნებაში მომწონს ის, რომ ირაკლის კამერა არ ცდილობს გააკვირვოს მაყურებელი მოულოდნელი რაკურსებით და ეფექტური კომპოზიციებით, არამედ ძალდაუტანებლად მიჰყვება პეიზაჟის „ლოგიკას", მის ხაზებსა და ფერებს, სიფაქიზითა და სიყვარულით აღბეჭდავს მშობლიური ბუნების სიმდიდრეს, რაშიც მშვენივრადაა შერწყმული პროფესიული და პატრიოტული თვალთახედვა.

* * *

— ერთგან წავიკითხე: თითქოს თქვენ ოპერატორის პროფესიული განათლება არ გქონდეთ...

— სწორია. მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტში ვცადე შესვლა, მაგრამ არ გამომივიდა... საერთოდ, ფოტოგრაფია მიყვარდა და იმან შემაყვარა კინოკამერაც... ავდექი და კინოსტუდიაში დავიწყე მუშაობა ოპერატორის ასისტენტად. პარალელურად ისტორიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი უნივერსიტეტში. მერე ჯარში გამიწვიეს, ავტომატთან ერთად ფოტოაპარატიც მეკიდა მხარზე და სამხედრო გაზეთში ხშირად ვბეჭდავდი სურათებს. ჯარიდან ჩამოვედი და ისევ კინოსტუდიას მივაკითხე. ბედმა გამიღიმა, ჩვენს ცნობილ კინოოპერატორებთან ლევ სუხოვთან, გიორგი ჰელიძესთან, დუდარ მარგიევთან, ლევან პაატაშვილთან მომიწია მუშაობა. ახლა რეჟისორებს არ იკითხავთ? მიხეილ ჭიაურელი, რევაზ ჩხეიძე, თენგიზ აბულაძე... ასე გავიწაფე და მოგვიანებით, ტელეფილმების სტუდია რომ შეიქმნა, იქ გადავედი... ახლაც იქა ვარ...

— ესე იგი, ძირითადად ტელეფილმებიდან იწყება თქვენი შემოქმედება?..

— კი, მაგრამ, იცით? დღესაც მიყვარს „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", „გენერალი და ზიზილები", „ჩვენი ეზო", „მაია წყნეთელი", „განძი", „სხვისი შვილები"... მართალია ამ ფილმებზე თითქოს „შავ მუშად" ვიყავი, მაგრამ ტიტრებზე ხომ აწერია: „ოპერატორის ასისტენტი ი. ონოფრიშვილი"... ესეც არ იყოს, თუკი რამე ვისწავლე და შევიძინე, დღესაც რომ მარგია, სულ იმ „ვეშაპებისგან" მაქვს ნასწავლი...

— შექმნით კი, ბევრს შეიძენს მასწავლებლისგან მონდომებული შეგირდი, მაგრამ ბუნებით მომადლებული მაინც რა მთავარი თვისება უნდა ჰქონდეს ოპერატორს?

— ოპერატორი მხატვარი უნდა იყოს. კომპოზიციას ვერავინ გასწავლის თუ თვითონ ვერ გრძნობ საიდან როგორ ჯობია აპარატის მართვა... სინათლე უნდა იცოდეს ზედმიწევნით, როდესაც ინტერიერში ან პავილიონში შედის...

— როგორი ფილმის გადაღება უფრო „ეადვილება" ოპერატორს, მხატვრულისა თუ დოკუმენტურის?

— ადვილი არც ერთი არ არის... ისე, მხატვრულში მაინც წინასწარ იცი, რას იღებ, დოკუმენტურში კი ხშირად დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტო, ეს კი რთული საქმეა...

— ჩემი აზრით, ოპერატორი დამდგმელი რეჟისორის მარჯვენა ხელი უნდა იყოს...

— სწორი ბრძანდებით. ასეც არის. ოპერატორი ხომ კინოაპარატით ადევნებს თვალს ყველაფერს, ამიტომ უპირველესად მან უნდა უთხრას რეჟისორს, რომელი კადრია მოსაწონი, რამდენად სწორად, ბუნებრივად შევიდა მსახიობი სცენაში, და კიდევ ბევრი სხვა...

კინორეჟისორ სოსო ჩხაიძის ნაუბარი:

ჩვენ უკვე რამდენიმე ფილმზე მოგვიწია ერთად მუშაობა... მოგეხსენებათ, რეჟისორისა და ოპერატორის ურთიერთთანამშრომლობა უშუალოდ ფილმის გადაღებისას აქტიურდება. გადაღების დროს მეც და ირაკლისაც ხშირად მოგვწონებია პირველივე დუბლი, მაგრამ იძულებული ვხდებით გადავიღოთ კიდევ რამდენიმე სარეზერვო, ვინაიდან არა გვაქვს იმ კინოტექნიკისა და ფირის იმედი, რომელიც ჩვენს ხელთაა. არც ჩვენი კინოობიექტივები იძლევა მცირე განათებით გადაღების საშუალებას, ამიტომ იძულებული ვართ მცირე მოცულობის ინტერიერებში შევიტანოთ უზარმაზარი განათების აპარატურა, რაც უდავოდ ართულებს ბუნებრივი გადაღების ეფექტის მიღწევას. აი, ასეთ მძიმე პირობებში ირაკლი ონოფრიშვილი აღწევს მაღალმხატვრულ შედეგს. ჩემი აზრით, დიდი გმირობაა, მუშაობდე ასეთ ვითარებაში და საერთაშორისო ფესტივალებზე იღებდე პრიზებს ფილმის საუკეთესო სახვითი გადაწყვეტისათვის. ეს უდავოდ მეტყველებს ირაკლი ონოფრიშვილის მაღალნიჭიერებაზე, პროფესიონალიზმსა და, რაც მთავარია, საქმისათვის თავდადებაზე.

* * *

ჩვენ ჯერჯერობით არაფერი გვითქვამს ირაკლი ონოფრიშვილის მიერ გადაღებულ სატელევიზიო მხატვრულ ფილმებზე. მაყურებელმა დიდი სიამოვნებით ნახა „უსახელო უფლისციხელი" (რეჟისორი — კ. ღლონტი), „რეკორდი", „კუჩხი ბედნიერი" (რეჟისორი — გ. პატარაია), „ლაზარე" (რეჟისორი — ბ. ხოტივარი). თქვენ გახსოვთ ამ ფილმების ფერწერული საერთო თუ მსხვილი ხედები, კოლორიტის აღქმა. ამ ნაწარმოებებში მკვეთრად გამოჩნდა ირაკლი ონოფრიშვილი, როგორც ქართული საოპერატორო სკოლის თვალსაჩინო ოსტატი.

აქ საგანგებო აღნიშვნის ღირსია „თუში მეცხვარე". (რეჟისორი — ს. ჩხაიძე). მოგეხსენებათ, ამ ფილმში არაპროფესიონალი მსახიობები — ძირითადად მეცხვარეები მონაწილეობდნენ. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სირთულეს უქმნიდა ეს ამბავი რეჟისორსა და ოპერატორს — ეკრანზე ხომ ზედმიწევნით ჩანს ერთი ყალბი მოძრაობაც კი. საბედნიეროდ ყველაფერი კარგად გამოვიდა და ეს ფილმი სწორედ უშუალობით, საოცარი ბუნებრიობით იქცევს ჩვენს ყურადღებას.

„თუშმა მეცხვარემ" უდიდესი სიხარული — რუსთაველის სახელობის პრემია მოუტანა ირაკლი ონოფრიშვილს. 1981 წელს პრაღაში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო სატელევიზიო კინოფესტივალზე კი აღნიშნული ფილმი დაჯილდოვდა ერთ-ერთი მთავარი პრიზით: „კინოოპერატორის საუკეთესო ნამუშევრისათვის".

სოსო ჩხაიძისა და ირაკლი ონოფრიშვილის თანამშრომლობა გრძელდება. მაყურებელი მალე ნახავს მათ ახალ ნამუშევარს — შვიდსერიიან სატელევიზიო მხატვრულ ფილმს.

... სულ მალე კი ირაკლი ონოფრიშვილი რეჟისორ კარლო ღლონტთან ერთად საბერძნეთში, ხიოსის კუნძულზე გაემგზავრება და გააგრძელებს დოკუმენტურ ფილმზე მუშაობას, ქართულ სიძველეთა ფირზე აღბეჭდვას.

... სწორედ კარლო ღლონტმა გაგვაგებინა: — ორმოცდაათი წლისა ხდება და, მე მგონია, ღირსია ერთი-ორი სიტყვით აღვნიშნოთ ეს თარიღი.

რა თქმა უნდა. — ღირსია. ღირსია კაცურად გავლილი ცხოვრებისათვის, ღვაწლისათვის ქართული კულტურის, კინოხელოვნების წინაშე.

ვ. მარდალეიშვილი.

კინოობიექტივით ნაფერები წარსული და აწმყო

დღევანდელი ნომრის სტუმარი

ბუნება — სიცოცხლის კარი

ნაპირდაცვის მეცნიერული რეკომენდაციები

ჟურნალ „ოკეანოლოგიის" ფურცლებზე

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ამ რამდენიმე ხნის წინათ ბათუმში გაიმართა საუწყებათაშორისო კონფერენცია, რომელიც ზღვის ნაპირების დაცვის პრობლემებს მიეძღვნა. მის მუშაობაში ჩვენი ქვეყნის მრავალი თვალსაჩინო მეცნიერი და პრაქტიკოსი სპეციალისტი მონაწილეობდა. ამ კონფერენციის მასალები, შედეგები და რეკომენდაციები თავის დროზე რესპუბლიკის პრესაში გამოქვეყნდა. ახლა კი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალმა „ოკეანოლოგიამ", რომელიც მოსკოვში გამოდის, თავის წლევანდელი წლის XXV ტომში ვრცელი ადგილი დაუთმო კონფერენციის მასალებს. მასში ლაპარაკია იმ დიდ, მნიშვნელოვან მუშაობაზე, რომელიც ამ მხრივ საქართველოში მიმდინარეობს.

ამ ბოლო ათწლეულების მანძილზე, წერს ჟურნალი, საგრძნობლად გაძლიერდა ზღვის ნაპირების ჩარეცხვა, რაც გამოწვეულია როგორც ბუნებრივი ფაქტორებით, ისე ანთროპოგენური გავლენით, რასაც ზოგან მნიშვნელოვანი ეკონომიკური დანაკარგები მოსდევს. ამასთან დაკავშირებით მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ახლა აშკარად მატულობს ინტერესი ზღვის ნაპირების შესწავლის პრობლემებისადმი. ამიტომ გასაგებია ის დიდი ყურადღება, რომელიც მეცნიერულმა საზოგადოებრიობამ გამოიჩინა XV საუწყებათაშორისო კონფერენციისადმი, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ოკეანის პრობლემების კომისიის სამუშაო ჯგუფი „ზღვის ნაპირები" და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვანაპირდაცვა"...

ამჟამად მსოფლიო პრაქტიკაში (მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც) ზღვის ნაპირების შესწავლის ახალი პერიოდი იწყება, რომელსაც საფუძვლად უდევს ჩარეცხვისაგან ნაპირების დაცვისათვის თვით ბუნების ძალების გამოყენება, ესე იგი დაისახა ტენდენცია ზღვის ნაპირების დაცვას მიუდგნენ არა „ქირურგიული" მეთოდებით, არამედ შეინარჩუნონ ბუნებრივი კომპლექსი. ეს საინჟინრო აზრს აიძულებს უფრო მოქნილი და პრაქტიკული იყოს. ამ მხრივ პიონერად გვევლინება სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვანაპირდაცვა", რომლის დიდ დადებითს გამოცდილებას კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო.

ამ გაერთიანებამ (გენერალური დირექტორი ა. გ. კიკნაძე), რომელიც 1981 წელს შეიქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან, ჩვენს ქვეყანაში პირველად ერთ ხელში მოუყარა თავი ნაპირების ჩარეცხვის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემის გადაწყვეტის ყველა სტადიას: მეცნიერულ კვლევას, ნაპირდასაცავი ღონისძიებების დაპროექტებას, მათ განხორციელებას და მომდევნო მონიტორინგს. ნაპირის გარემოს დაცვის პრობლემისადმი ასეთმა მიდგომამ ხელი შეუწყო მნიშვნელოვან ეფექტიანობას ნაპირდასაცავი ღონისძიებების განხორციელებაში. საქართველოს საზღვაო სანაპიროს პირობებში, სადაც მკვეთრად არის გამოხატული დახშული მორფოდინამიკური უჯრედები მასაზრდოებელი ნატანის საკუთარი წყაროებით, ტრანზიტის ზონითა და მასალების აკუმულაციით, მიზანშეწონილად სცნეს უარი ეთქვათ მძიმე სტატიკურ ნაპირდამცავ კონსტრუქციებზე და ფართოდ გამოეყენებინათ ახალი თავისუფალი პლაჟების შექმნა და არსებულთა აღდგენა ხელოვნური ნაყარის მეშვეობით. ამ მუშაობის პირველი დადებითი შედეგები აისახა თ. გ. მელაძის, ვ. ვ. საყვარელიძის, ვ. მ. პეშკოვისა და შ. ი. მიშელაძის, ი. გ. პაპაშვილისა და მისი თანაავტორების და გაერთიანების სხვა თანამშრომელთა მოხსენებებში, რომლებმაც გვიჩვენეს ნაპირისდამცავი ღონისძიებების ეფექტიანობა ცალკეულ მონაკვეთებზე და მთელი ქართული სანაპიროს ფარგლებში.

თავისი თემატიკითა და ფაქტობრივი მასალით წინა ჯგუფის მოხსენებებს ძალზე მჭიდროდ უკავშირდებოდა აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის (ვ. ვ. კანდელაკი და გ. დ. ლომინაძე), აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (მ. დ. ალფენიძის) და ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შავი ზღვის განყოფილების (ი. ქ. გრაჩიშჩევი და ო. ლ. რიბაკი) წარმომადგენლების ინფორმაციები, რომლებიც საქართველოს სანაპიროს კონკრეტული რაიონების დინამიკას და სტაბილიზაციის ღონისძიებებს ეხებოდა. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების „საქზღვანაპირდაცვის" მიერ წარმოდგენილ მოხსენებებში აღიძრა აგრეთვე სანაპირო ზონაში ნატანის ბალანსის რეგულირების საკითხები, რომელთანაც დაკავშირებულია ბევრი პრაქტიკული ამოცანა (შ. ვ. ჯაოშვილი, შ. ი. მიშელაძე), აგრეთვე წყალქვეშა კანიონების დინამიკის საკითხები, რომლებიც ძალზე დიდ გავლენას ახდენენ ქართული სანაპიროს გასწვრივ ნატანის ბიუჯეტზე (ლ. ვ. მენშიკოვი, დ. ი. მატიკავა). ამ ბოლო პრობლემაზე სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების მასალები არსებითად შეავსო გ. ა. საფიანოვის (მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი) მოხსენებამ, რომელშიც განზოგადებული იყო სანაპირო ნატანის ბალანსის ფორმირებაზე წყალქვეშა კანიონების გავლენის მონაცემები, პრობლემის შესწავლის 10-15 წლის მანძილზე რომ მივიღეთ. ეს რთული და აქტუალური პრობლემაა, რადგან უშუალოდ უკავშირდება ნაპირების ჩარეცხვის საკითხებს: საქართველოს სანაპიროზე ყოველწლიურად 30 მილიონამდე ტონა ნატანი ჩადის წყალქვეშა კანიონებში.

კონფერენციის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების „საქზღვანაპირდაცვის" საქმიანობა და ამგვარი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების შექმნა მეცნიერული აზრისა და მისი ტექნიკური განხორციელების შერწყმის კარგ ფორმად მიიჩნიეს. კონფერენციის მიერ რეკომენდირებულია შეიქმნას ასეთი ორგანიზაციები საბჭოთა კავშირის სხვა აუზებშიც.

კონფერენციის მონაწილეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საქართველოს სსრ ხელმძღვანელობა დიდად დაინტერესებულად ეკიდება ნაპირის კვლევის განვითარებას, რომლის პირველი შედეგები საქართველოს უნიკალური პლაჟების აღდგენაში დადებითად შეაფასა მეცნიერებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს გასვლითმა (გაგრა) სესიამ 1983 წლის სექტემბერში.

მაღალმთიანი სოფლის სათიბში...

ახლა ლენტეხში დიდი თუ პატარა სათიბებშია გასული: მიმდინარეობს ზამთრისათვის საკვების მასობრივი დამზადება. მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის — ლენტეხის რაიონის მოწინავე მეურნეობის მშრომელებმა გადაწყვიტეს დაამზადონ 1850 ტონა უხეში საკვები, აქედან 1228 ტონა თივა.

მტკიცე საკვები ბაზის ხარჯზე იზრდება მეცხოველეთა წარმატებები. გადაჭარბებით ასრულებენ ხორცისა და რძის დამზადების დავალებებს.

სურათებზე: მთიბავები; ახალგაზრდობას არ ჩამორჩება ყორდან ლიპარტელიანი, ჩან უკვე მოთიბა 5 ტონა თივა, ნორმით გათვალისწინებული 3 ტონის ნაცვლად; ბესიკ მეშველიანი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მხარში ამოუდგა თანასოფლელებს.



(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ქართული მელოდიები — ბალტიისპირეთში

ბათუმის მენავთობეთა კულტურის სასახლის ქალთა ვოკალური ანსამბლი „ნანო" ერთ-ერთი პოპულარული მხატვრული კოლექტივია. იგი იმითაც გამოირჩევა, რომ ინტერნაციონალურია და მდიდარი საშემსრულებლო პროგრამა აქვს (ხელმძღვანელი ს. გიორგაძე).

ახლახან ანსამბლი მიწვეული იყო ლატვიასა და ესტონეთში.

ანსამბლი წარმატებით გამოვიდა მომძე რესპუბლიკებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი კონცერტი რიგის ქარხანა „ვეფში". აქ ქართველმა მომღერლებმა მონაწილეობა მიიღეს ბახის ხსოვნის საღამოში.

„ნანოს" გამოსვლებმა საქართველოსა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ძმობისა და მეგობრობის ნიშნით ჩაიარა.

„კომუნისტის" საკ. კორ.

ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი

მეექვსე პარტია

გუშინ მოსკოვში გაიმართა ანატოლი კარპოვისა და გარი კასპაროვის მატჩის მეექვსე პარტია, რომელშიც თეთრებით [illegible] თამაშობდა. პარტია ყაიმით დამთავრდა. მატჩის ანგარიში გახდა 3,5:2,5 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ.

სატურნის ორბიტა

[illegible]. ქალაქ სოჩში გრძელდება საჭადრაკო ფესტივალი. [illegible] ჯერჯერობით 6 ქულა აქვს (9-დან).

[illegible]. [illegible] 2:1. [illegible] 2 ოქტომბერს.

[illegible]. [illegible]

პ. ქუთონია

გარდაიცვალა პარტიის, სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი [illegible] ქუთონია.

დაიბადა 1894 წელს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ [illegible]. 1917 წლის თებერვლიდან [illegible] [illegible]

1919 წელს [illegible]

1924 წელს [illegible]

1935 წელს [illegible] 1978 წლიდან [illegible]

[illegible]

პარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომი.
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტთან არსებული პარტიის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას

[illegible]

რ. დვალის ოჯახი

რედაქტორი
გ. [illegible]

საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი [illegible]

ჩვენს ტელეეკრანზე

მოსკოვი

20 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — ბურატინოს გამოფენა. 10.05 — დოკუმენტური ფილმები სპორტის შესახებ. 10.45 — „ფიქრები კოვპაკზე". I სერია. 12.00 — დოკუმენტური ტელეფილმი „შენი გატაცებების სამყარო". 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმი „ხაიმედო კაცი". 16.10 — მოსკოვის ოლქის სოფლების დღევანდელი და ხვალინდელი დღე. 16.45 — სტუმრად ზღაპართან. 18.35 — რუსული მეტყველება. 19.05 — თანამეგობრობა. 19.35 — მულტფილმი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — „დრო გეიკარნახებს". ციკლიდან „წყდება ადგილზე". 20.45 — „ფიქრები კოვპაკზე". II სერია. 22.00 — „ვრემია". 22.35 — „ანა გერმანი, ბედი და სიმღერები". 23.35 — დღეს მსოფლიოში. 23.50 — კონცერტი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ფილმი. 10.05 — ინგლისური ენა. 12.05 — გ. აბაშიძის პოეზია. 13.30 — ინგლისური ენა. 13.40 — რუსული სახვითი ხელოვნება. 15.35 — ცოდნა ძალაა. 19.15 — ხალხური მელოდიები. 19.30 — დედის სკოლა. 20.00 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი გამოყენებითი წყალქვემარდობის მრავალჭიდში. 20.30 — ჰოკეი. 22.00 — „ვრემია". 22.35 — ტელეფილმი. 0.55 — ახალი ამბები.

თბილისი

20 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — მოამბე. 10.05 — საესტრადო პანორამა (განმეორებით). 16.05 საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.20 — თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.30 — ახალგაზრდობისათვის. დოკუმენტური ფილმი „ყველაზე გრძელი გამოცდა". 17.30 — პროგრამა მოსწავლეთათვის: მულტიპლიკაციური ფილმი „მაიმუნები და თაგუნები". 17.40 — საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ბავშვთა გუნდის კონცერტი. 18.40 — დოკუმენტური ფილმი „სამოქალაქო თავდაცვის შესახებ". წყლის ტრანსპორტი. 19.00 — „მეგობრების გამოცდილება". „საქმეები და ადამიანები". 19.30 — ახალგაზრდობისათვის. „შუქნიშანი". 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ). 20.00 — „მოამბე". 20.35 — „ცეროდენას ეკრანი". 20.50 — „დედის დღე". სატელევიზიო ჟურნალი „იავნანა". 21.50 „სტუდენტური რთველი-85". 21.55 — „საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე". 22.00 „ვრემია". 22.35 — მხატვრული პროგრამა „ფილმი, მსახიობი, როლი".

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „პაკტი". 17.45 — მხატვრული ფილმი „ვარსკვლავური მივლინება".

თეატრი

20 სექტემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბაიადერა (55-ე აბონ. IV წარმ.); მოზარდ მაყურებელთა ქართული (პლეხანოვის გამზირი, 127-ა) — თავისუფალი თემა (აბონ. გარეშე, 8 ს.).

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 06307 საქართველოს კპ ცკ-ს გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშტარიას 28.